

კავკასიის  
ქალაქი

КАВКАЗСКИЙ  
ГОРОДЪ

ფასი ნომრისა 3 მკბ.

ცენა ნომერა 3 რუბ.

№ 4.

თბილისი  
ТИФЛИСЬ

1 მატი 1919 წ.  
март 1919 г.



ገጽ ፩ ገጽ ፩ ገጽ ፩

# კავკასიის ქალაქი

ორკვირეული გამოცემა თვითმართველობათა კითხვების შესახებ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, სომხის ბაზარი, № 6.  
ქალაქთა კავშირო, ტელეფ. 7-31.

ზელის მონეტის პირობანი: ერთი წლით—60 მან., ექვსი თვით—35 მან., სამი თვით—15 მ., ერთი ნომერი თბილისში—3 მ. სხვა ქალაქებში—3 მ. 50 კ. მისამართის გამოკველა—50 კ. განცხადებების ფასი: პეტიტის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ. ვინც ქალაქთა თვითმართველობებში ალაგს ეძებს მათ გადახდებთ ნახევარი.

## „Кавказскій Городъ“

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузіи.

Двухнедѣльное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.

Адресъ редакціи и Конторы: Тифлисъ, Армянскій Базаръ, 6.  
Союзъ Городовъ. Телефонъ 7—31.

**Условія подписки:** на 1 годъ—**60 руб.**, на 6 мѣсяц.—**35 руб.**, на 3 мѣсяц.—**15 руб.** За перемѣну адреса—**50 коп.** Цѣна отдѣльнаго номера: въ Тифлисъ—**3 руб.**, въ другихъ городахъ **3 руб. 50 коп.** Плата за объявленія: за строку петита позади текста—**1 руб. 50 коп.** Для лицъ, ищущихъ труда въ городскихъ Управленіяхъ, въ половинномъ размѣрѣ.

При сношеніяхъ съ редакціей просятъ прилагать свой точный адресъ. Пріемъ редакторомъ ежедневно, кромѣ праздниковъ, отъ 1 до 3 ч. дня.

კავკასიის

# ქალაქი

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის შთაგარი კომიტეტის

ორგანო

ორგანიზებული გამომცემი თვითმართვლადი კაიხების შესახებ.

8108


## КАВКАЗСКИЙ

# ГОРОДЪ



Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузіи.

Двухнедельное издание по вопросам муниципальной жизни.



№ 4.

თბილისი  
თიფლის

1 მარტი 1919 წ.  
март 1919 г.

По постановлению Гл. Комитета Сгора Городовъ Республики Грузіи  
статьи приобретенныя редакціей могутъ печататься на обихъ  
языкахъ.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის  
დადგენილებით, რედაქციის მიერ შექმნილი სტატიები დაიბეჭდება  
ქართულ ან რუსულ ენაზე.

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

### ქ ა რ თ უ ლ ა დ :

- 1) — საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მეორე ყრილობა.
- 2) გ. ნანეიშვილი. — დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებთან შორის. (გაგრძელება).
- 3) ი. ქურდიანი — როგორ უნდა მოეწყოს აგრონომ. დახმარება ერობებში. (დასასრული).
- 4) ნ. რუხაძე — საერებო მედიცინის ორგანიზაცია.
- 5) ს. რობაქიძე. — საშკოლო აღმშენებლობა. (დასასრული).
- 6) ქრონიკა { ქალაქთა თვითმართველობებში.  
ერობათა თვითმართველობებში.

### რ უ ს უ ლ ა დ :

- 1) ვ. სოკოლოვი — ცენტრალური ერობის საკითხი.
- 2) ვ. იანოვიჩი — ერობის მცირე ერთეულის შემოღებისთვის.
- 3) ბ. უვაროვი — ცენტრალური ერობის მორიგი საკითხი.
- 4) ა. ესენი — თეთრი ნახშირი.
- 5) დ. კორენევი — კოოპერატივის მდგომარეობა.
- 6) ა. ბრინტევისა — საქ. რესპუბ. ქალაქთა კავშირის მეორე მუნიციპალური ყრილობის შესახებ.
- 7) ქალ. წარმომადგენლების ყრილობის რეზოლიუციები.
- 8) ქ რ ო ნ ი კ ა .

## С о д е р ж а н і е :

### На грузинскомъ :

- Второй съездъ представит. городовъ Респ. Грузіи.  
Г. Нанейшвиди. — Взаимотнош. между цент. и мѣст. органами. (Продол.)  
И. Еурдиани. — Организация агрономичес. помощи въ земствахъ. (Окон.)  
Н. Рухадза. — Организация зем. медицины.  
С. Робакидзе. — Школьное строительство. (Оконч.)

### Хроника.

### На русскомъ :

- В. Соколовъ. — По вопросу о центральномъ земствѣ.  
В. Яновичъ. — О введеніи мелкой земской единицы  
В. Уваровъ. — Изъ очередныхъ задачъ общекраевого земства.  
А. Эссонъ. — Вѣлый уголь.  
Д. Кореневъ. — Кооперация на распутъи.  
А. Бритнева. — О второмъ съѣздѣ муниципальн. союза гор. Респ. Грузіи.

### Хроника.

## საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მეორე ყრილობა.

განვლილი ქარ-ტეხილის შემდეგ მეორედ გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა; და ამ ყრილობამ, მისმა საქმიანობამ ნათლად დაგვანახვა, რომ განახლებული დემოკრატიული თვითმმართველობანი ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურის თანდათანობით მტკიცე საფუძველს უყრიან ჩვენი ქვეყნის კულტურულსა და ეკონომიურ კეთილდღეობას. ადგილობრივი თვითმმართველობანი დღემდის მხოლოდ წმინდა სამეურნეო ფუნქციების ასასრულებლად იყვნენ მიწვეულნი; მაგრამ ეს ფუნქციებიც რუსეთის თვითმპყრობელი ბიუროკრატიის დროს საშინლად ფრთებ შეკვეცილი იყო; ადგილობრივ თვითმმართველობებს, მათს თაოსნობას, თვითმოქმედებას,—ცივილიზაციისა და პროგრესის ამ ერთად ერთს საიმედო საწინდარს,—თავის მძიმე ხელს აფარებდა ბიუროკრატია და შეუძლებლად ახდინდა თვითმმართველობათა თავისუფალ განვითარებას. ამ მხრით ჩვენმა ქალაქებმა,—დემოკრატიულმა თვითმმართველობებმა—ფრიად მძიმე მემკვიდრეობა მიიღეს ძველი რეჟიმიდან. ამას ზედ დაერთო ომიანობით გამოწვეული კრიზისი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მოშლილი ტრანსპორტი, აწეწილ-დაწეწილი სასურსათო საქმე, სრული დეზორგანიზაცია ფინანსიური აპარატის,—აი რანაირი დაბრკოლებანი უნდა გადაეღახათ ადგილობრივ თვითმმართველობებს თავიანთი განახლების რიჟრაჟზე! ყველა ამ დაბრკოლებათა დასაძლევად საჭირო გახდა მთელი არსებული ძალების ამოძრავება, მათი განაწილება სხვა და სხვა ქალაქთა შორის და კოორდინაცია ძალებისა ისეთს დაბრკოლებათა დასაძლევად, რომელთა დაძლევაც თვითელს ქალაქს ცალკე და დამოუკიდებლად გაუძნელდება. ძალთა ეს კოორდინაცია სწორედ ქალაქთა კავშირმა უნდა განახორციელოს. კავშირის ორგანიზაციის საშუალებით ქალაქებმა სათანადო სისტემით უნდა გაინაწილონ ის მატერიალური ღირებულებანი, რომელთა შექმნაც ამ კავშირის შემწეობით მოხერხდება და მეორეს მხრით თითონაც უნდა გაიღონ კავშირის საერთო მიზნებისთვის ის ღირებულებანი, რომელთა შექმნაც ქალაქები თავიანთი საკუთარი ძალ-ღონით შესძლებენ.

ეს იქნება მატერიალური მხარე ქალაქებისა და მათი კავშირის საქმიანობისა; მაგრამ ამ წმინდა მატერიალურ მხარეს თანამედროვე ხანამ და ჩვენი ქვეყნის საერთო დემოკრატიულმა მიზნებმა ახალი ფუნქციებიც დაუმატა. საერთო გზები ჩვენი ქვეყნის შინაური პოლიტიკისა,—როგორც დემოკრატიული პოლიტიკისა,—ისეთია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობანი უნდა გადაიქცნენ ადგილობრივ მმართველობათაც, ცენტრალური მთავ-

რობის ადგილობრივ ორგანოებად. ეს კი, შესამჩნევად ზრდის, აზოთულებს და აფართოებს ადგილობრივ თვითმმართველობათა ფუნქციებსა და მათს კომპეტენციას. ვერც ამ მიმე მოვალეობის შესრულებას შესძლებენ ჩვენი ახალ-გაზდა დემოკრატიული თვითმმართველობანი შეუკავშირებლად და ერთმანეთის დაუხმარებლად.

ასეთი პერსპექტივები თვითმმართველობათა მომავალი მუშაობისა ნათლად აჩვენებს გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა მეორე ყრილობას, რომლის მუშაობაც სწორედ ამიტომ ნაყოფიერი გამოდგა. ყრილობამ განიხილა მთელი რიგი ისეთი საკითხებისა, რომელთაც სწორედ ასეთი დაახლოება და საერთო გეგმით მოქმედება აჩვენებს დასახული მიზნად.

ჩვენ სრულის იმედით ვუცქერთ მომავალს და ღრმად გვწამს, რომ შემდეგი ყრილობა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლებისა უფრო ნაყოფიერი გამოდგება; რომ ყრილობის მიერ გამოთქმული სურვილები განხორციელდება და საფუძველი ჩაეყრება დემოკრატიულ თვითმმართველობათა ახალს მუნიციპალურ ტრადიციებს.

## დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებთა შორის. (გაგრძელება).

### IV.

პირველ ორ წერილში ჩვენ გავკრით შევხებით, თუ რიგი განსხვავებებიან ერთმანეთისაგან კონტინენტალური სახელმწიფოების დასავლეთ ბრიტანეთის მართველობის სისტემები: როგორც აღვნიშნეთ კონტინენტალური მართველობის დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ კანონმდებლობა, ადგილობრივ ორგანოებს,—გარდა პირდაპირ კანონით აკრძალულ შემთხვევებისა,—ანიჭებს სრულ თავისუფლებას ყოველ საკითხების განხილვაში და გადაწყვეტაში. იმ სახელმწიფოებში, სადაც ასეთი პრინციპი არის მიღებული, აღიარებულია აუცილებლად ერთი და იგივე დებულება. ყოველივე ადგილობრივ ორგანოების დადგენილებას და მოქმედებას ესაჭიროება ცენტრალური ორგანოების წინასწარი თანხმობა ანუ სანქცია.

ერთის მხრივ კანონმდებლობა ადგილობრივ ორგანოებს თითქოს ანიჭებს მეტის მეტ ფართო უფლებებს, მაგრამ მეორე დებულების ძალით ისე საზღვრავს ამ უფლებას, რომ ცენტრალური ორგანოთა კანტროლი და ზედამხედველობა ხდება ოპეკათ. საფრანგეთში, მაგალითად, მართველობის სისტემას უდევს საფუძვლად ადგილობრივი და საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების დაპირისპირება. იმდენათ, რამდენათ კანონმდებლობა არ უკრძალავს ადგილობრივ მართველობებს სახელმწიფოებრივი საქმეების გამგებლობას, იმდენათ უკანასკნელები დამოკიდებულნი

არიან ცენტრალურ ადმინისტრაციული ორგანოებისაგან. საფრანგეთის სისტემა ამის მხრივ წარმოადგენს საშუალო ტიპს. ეს არის წმინდა ტიპი დეკონცენტრაციული მართვლობისა: გენერალური საბჭოები სრულებით მოკლებული იყვნენ გადაწყვეტ უფლებას, ისინი აწოდებდნენ ხოლმე თავის აზრს, რომელსაც მთავრობის დასტური ესაჭიროებოდა. 1866 და 1871 წლების რეფორმებმა ეს წესი ოდნავათ შესცვალეს. გენერალური საბჭოები ზოგიერთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლის რიცხვი მეტის: მეტი მცირეა; სარგებლობენ სრული ავტონომიით. უმრავლესი დადგენილებანი კვ შეიძლება იქნეს შეჩერებული პრეფექტის მიერ და სრულებით უარყოფილი უმაღლეს ცენტრალურ ორგანოს მხრივ. მაგრამ დღემდისაც აქვს მთავრობას უფლება გენერალური და მუნიციპალური საბჭოების დათხოვისა, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავენ.

ინგლისის კანონმდებლობა სულ სხვა გზას ადგა თავიდანვე. ინგლისის პარლამენტი მრავალი სხვა და სხვა ტიპის აქტების ძალით აღწმინავედა იმ რთულ საკითხების რიგს; რომელთა გადაწყვეტაში ადგილობრივ ორგანოებს ანიჭებდა სრულ თავისუფლებას. არ ყოფილა ერთი მაგალითიც, რომ ინგლისის კანონმდებლობას ან პრაქტიკას გადაეხვია ამ გზიდან; ესე იგი, არ ყოფილა ისეთი პრეცედენტი ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც ყოფილიყო მიმართული იმ დემარკაციონური ხაზის გასაუქმებლათ, რომელიც ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის იყო გატარებული. ინგლისში, ცენტრალური და ადგილობრივი თვითმართველი დაწესებულებანი ერთ რიგში აღიმართებიან პარლამენტის წინაშე. ინგლისის კანონმდებლობა და პრაქტიკა ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ ორგანოებს. პარლამენტის გეგმონია სპობდა ფაქტიურად იმ ცოტა რამესაც, რითაც ცენტრალური დაწესებულებათა ხელუფლება განსხვავდებოდა თვითმართველობის ძალა უფლებებიდან. ის მინიმალურად უპირატესობა, რომელიც ქონდათ და აქვთ მთავრობის ორგანოებს, არის ის ფორმალური უფლება, რომლის საშუალებითაც დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრივი მართვლობა მიმდინარეობს ერთ იურიდიული ნორმებით განსაზღვრულ ფარგლებში. ეს უპირატესობა (ჩვენ მხედველობაში გვაქვს კონტროლის უფლება) სრულებით არ შეადგენენ ცენტრალურ ორგანოების პრეროგატივებს.

აი, როგორ ახასიათებს საუკეთესო მკოდნე ინგლისის ადგილობრივ მართვლობისა რედლიხი ცენტრალურ ორგანოების უფლებებს. „ცენტრალური ორგანოების ძალა-უფლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ენერჯის წყაროთ, რომელიც ამოძრავებს ადგილობრივ ცხოვრებას. პრაქტიკაში ეს უფრო ნათელია ვიდრე კანონმდებლობაში. ინგლისის ბუნება ვერ იტანს ცენტრალურ ადმინისტრაციის ოპეკას, ამაზე უფრო ანტიპატიურად მის ბუნებას არაფერი არ მიაჩნია“. (იხილეთ Редлихъ. Английское мѣстное Управленіе. Т. II. ст. 214, 216).



ინგლისის პარლამენტი უმთავრესი ნერვია მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. ეს არის ის ენერჯია, რომელიც ამოძრავებს მთელ იმპერიის ტერიტორიაზედ არსებულ დაწესებულებათა ცხოვრებას. არ არის ისეთი დარგი სახელმწიფოს ცხოვრებისა, რომელშიაც ინგლისის პარლამენტი არ შექრილიყო თავის ყურადღებით. სადაც ისტორია და ტრადიციები რაიმე განწყობილებას სტოვებდენ მოუწესრიგებლად, პარლამენტი ცდილობდა დეფექტების შეესებას. მთელი სიდიადე და სირთულე ინგლისის სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა არის შედეგი პრაქტიკისა და კანონმდებლობის გარმონიულად ზრდისა. ინგლისის სახელმწიფოებრივი ზრდას ორგანიზული ხასიათი აქვს და ბუნებრივია ადგილობრივი თვითმართველობების ევოლუციაც. უძველეს დროიდან ადგილობრივი ორგანოების პრეროგატივები და კომპეტენცია, მკაცრად იყო დაცული კანონებით. არავითარ ორგანოს არ შეუძლია ამ კანონების უარყოფა. ყოველ ინგლისელს რაც უნდა ღარიბი იყოს, აქვს საშვალეობა დაიცვას თავის ინტერნსები. ხალხის თავისუფლებას კი თავის ბუნებრივ უფლებათ და ინტერესათ სთვლის. შორს, წარსული დროიდან, ინგლისელები იყვენ ბატონ-პატრონი თავისი საქმეებისა და თვითმართველობის იდეას იმდენათ მჭიდროთ აქვს გადგმული ფესვები ინგლისელის პსიხიკაში, იმდენათ ძლიერ მათივაციონურ ძალათ. გახდა იგი მის ბუნებაში, რომ ვერც ერთი ინგლისელი ვერ წარმოიდგენს თუ როგორ შეიძლება ხალხის დაშორება საზოგადოებრივი საქმეების გამგებლობიდან. „თუ ჩვენგან მიაქვთ გადასახადები, ამბობენ ინგლისელები, ვიხდით ამა თუ იმ სახელმწიფო ბეგარას, ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა საჭიროებისათვის იხარჯება ჩვენი ფული, ძალღონე და შრომა. საქმეების გამგეობას ჩვენ ვერავის ვანდობთ გარდა იმ პირებისა, რომლებიც ჩვენ მიერ იქნებიან არჩეულნი.

ინგლისელების უფლებბრივმა ზრდამ, ისეთი პსიხოლოგია შექმნა, ისე გაამავრა ამ უკანასკნელებში სოციალური იმპულსები, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესები თვით ხალხის კულტურის მხრივ არიან უზრუნველყოფილი. ინგლისელები ისეთ პირობებში არიან აღზრდილნი, რომ უბრალო ზომებით შეიძლება მათზე მოტივაციონური გავლენის მოხდენა. რაც უფრო დაბალ კულტურულ საფეხურზე იმყოფება ხალხი მით უფრო მკაცრი რეპრესიები და ზომები არის საჭირო, რომ გამოიწვიოს ამა თუ იმ საზოგადოების წევრისაგან სოციალურ—სასარგებლო მოქმედება. ყოველი ეპოქა ქმნის განსაკუთრებულ პსიხოლოგიას და ამის მიხედვით კანონმდებლობა ეძებს იმ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოებრივ ინტერესების დაცვას. ინგლისის მთავრობას მეტად მიაჩნია ადგილ. ორგანოთა საქმეებში ჩარევა. მთავრობა არ ერეოდა არც ერობის ხალხის არჩევნებაში, არც მათ ხარჯებში, ის მხოლოდ უწყედა კანტოლს მათ მოღვაწეობას, რისთვისაც დროთა გამოშვებით გზავნიდა თავის აგენტებს რევიზორებს, და დღეს დღეობით, რომ ინგლისში სახელმწიფოებრივი კრიზისი მოხდეს, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრივი მექანიზმი ისე არ შეფერხდება როგორც

მოხდა ეს რუსეთში ადგილობრივი თვითმართველობები გადაარჩინენ სახელმწიფოს დიდ კატასტროფისგან; ინგლისელი გრძნობს მოწესრიგებულ კავშირში ცხოვრების სარგებლობას და ყოველივე ანტისაზოგადოებრივი მოღვაწეობა იწვევს მასში ერთგვარ რეაქციას. მართალია თვითმართველობა არც რუსეთის ცხოვრებაში აღმოცენდა უეცრათ (იხილეთ Вѣщайкии-ѣкій Управленіе и земство). იყო ერობის პროტოტიპები, რომლებსაც უნდა აღეზარდა, ხალხში თვითმართველობის სურვილი და მისი აუცილებლობის შეგნება. მაგრამ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება არღვევდა საზოგადოებრიობას იმ დროს, როდესაც ინგლისში, როგორც კანონმდებლობა ისე თვით პრაქტიკა, მიმართული იყო იმისაკენ, რომ რაც შეიძლება ფართო საზოგადოების წრეებს მიეღოთ მონაწილეობა თვითმართველობებში, რუსეთში ძლიერი იყო სულ სხვა ტენდენცია. კანონმდებლობა იყო მიმართული იმისაკენ, რომ რაც შეიძლება მცირე წრეებს მიეღოთ მონაწილეობა ერობებში. საკმარისია მხოლოდ გავისხენოთ თუ რა პირობების დაკმაყოფილებას, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ თხოულობდნენ 1864 წლ. და 1890 წლების ერობების დებულებანი. ერობაში არჩეული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის პირი, რომელიც ფლობდა 200 დესიატიანას, ან ქონდა ქონება, რომელიც ფასობდა არა ნაკლებ 15.000 მან. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ერობაში ხალხის მონაწილეობა თვის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა ვერ იგუებდა რაიმე. სხვა დებულების აღიარებას. რა ერობის რეფორმა არ უნდა ყოფილიყო დასახული, უეჭველად უნაყოფოთ დარჩებოდა, რადგან თვით სახელმწიფოს წესწყობილება იყო აგებული ისეთ პრინციპებზედ, რომ ნამდვილ ერობის სიცოცხლეს ვერ შეიწყნარებდა. საზოგადოება იყო სრულებით დაშორებული მთავრობისაგან თვით მთავრობა ცდილობდა გაეღმავებინა ანტაგონიზმი ადგილობრივ და ცენტრალურ დაწესებულებათა შორის. ბიუროკრატიული ცენტრი ხელოვნურათ ქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ საზოგადოების ფართო წრეები მოკლებული ყოფილიყვენ საშვალებას მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს მართველობაში. თვითმართველობების მაგიერ იზრდებოდა ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია მაგრდებოდა ბიუროკრატიული გულგრილობა, და წესწყობილება, რომელშიაც ყოველი ადმინისტრაციული თვითნებიერება დაკანონებული იყო. 1899 წელს ტვერში მეორე საგუბერნიო სხდომის გახსნის დროს, ტვერის გუბერნატორმა განაცხადა, რომ მის მიერ გასაჩივრებულია 11 ერობის ხარჯთაღრიცხვა. უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელი სთვლიდა, რომ ადმინისტრაცია უფრო კომპეტენტურია ერობის სამეურნეო გეგმის შემუშავებაში, ვიდრე თვით ერობები. რუსეთის ადმინისტრაცია ვერ საზღვრავდა თავის უფლებას, მხოლოდ კანონიერების დაცვის ფუნქციებით, ის იღებდა მთელ ადგილობრივი ინტერესებს თავის ზრუნველობის ქვეშ. ასეთ ადმინისტრაციის ბატონობას ქონდა თავის საფუძველი. რუსეთის მართველმა წრეებმა კარგათ იცოდნენ, რომ საზოგადოებ-

ბრივი მოღვაწეობის ზრდას აუცილებლად უნდა დაყოლოდა სახელმწიფო-ებრივი წესწყობილების შეცვლა. მონარქია უნდა გადარქნილიყო კონსტიტუციონურ მართველობათ, ასეთ ტრანსფორმაციას კი პოლიტიკურ ცხოვრების სფეროში სახელმწიფოს მართველობის სათავეში მდგომნი ვერ შეუბრუნებოდნენ. უნდობლობა საზოგადოებრიობის მიმართ, უნდობლობა უძლიერეს ფაქტორის მიმართ, რა თქმა უნდა აგროვებდა იმ დეფიციტს, რომელსაც თავისი ნაყოფი უნდა გამოეჩინა პოლიტიკური ცხოვრების ბალანსის მოხდენის დროს. შეფერხდა ცხოვრება ცენტრში, მოხდა სახელმწიფოს კრიზისი და არ აღმოჩნდა. ძალები რომლებსაც შეეძლოთ სახელმწიფოს გადარჩენა ნამდვილ დარბევისაგან. პოლიტიკური ერთეულების წინაშე აღიმართენ მრავალი საკითხები რომლის გადაწყვეტაში მოუძახდებელი გამოდგა ხალხი. რუსეთის რევოლიუციამ შეარყია სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მაგრამ ძველ სახელმწიფოს ნანგრევებზე ვერ შეიქმნა ვერავითარი წესრიგი. ხალხს არ ქონდა გავლილი ის სკოლა, რომელსაც გადიან ინგლისში და ამერიკაში მცირე ერთეულებში მოღვაწეობით. ხალხი მოკლებული იყო საშვალებას ეგემა და შეეგნო ის, თუ რა სარგებლობა აქვს მოწესრიგებული კავშირში ცხოვრებას. ასეთ ნიადაგზედ მარდებოდა ის ანტი-სოციალური იმპულსები, რომელიც აწარმოებს ახლა რუსეთში სტიქიურ მოძრაობას.

ჩვენმა ხალხმა ამ რევოლიუციის დროს გამოიჩინა ერთგვარი ფხა; საქართველოს დემოკრატია აღლო აულო სტიქიურ მიმდინარეობას და დღეს დღეობით ჩვენი სახელმწიფო საკუთარ კოლორიტს და ელფერს ღებულობს. ჩ, ვენი ხალხი პოლიტიკურად მომზადებული აღმოჩნდა ყოველ ანტი-სოციალურ გამოსვლას მან საღი შეგნება ვარემოებისა და მოწესრიგებული რეალური ძალა დაუპირდაპირა. თუ დღევანდელ ცხოვრებაში ჩვენ მრავალ დეფექტებს, გვრძნობთ, ყველაფერი ეს ნელ ნელა გაქრება. ნორმალურ სახელმწიფოს მშენებლობისათვის ჯერ ჯერობით პირობები არ დამდგარა. მთელი ხალხის ყურადღება და მისი საკუთარი მთავრობის ყურადღება მიქცეულია სხვა ქვეყნებისკენ.

ჩვენ სახელმწიფოს ჯერ არ აქვს თავისი კანსტიტუცი მაგრამ არავის არ ეპარება ეჭვი იმაში რომ მისი მართველობის ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. დიდი ხანია რაც ლასალმა და ავსტრიის სკოლის იურისტმა ზეიდლერმა აღნიშნეს, რომ კანსტიტუციას წინ უსწრებს რეალური ძალთა განწყობილება. იქ სადაც ისეთი ფორმა მართველობისა ფაქტიურათ აღიარებულია, თვითმართველობაც უნდა იყოს აგებული იმ პრინციპებზე რომელზედაც მყარდება მთელი სახელმწიფოებრივი წესწყობილება. სისტემა ადგილობრივი მართველობისა მჭიდროდ არის შეკავშირებული უმაღლეს მართველობის სისტემასთან.

პირველი არის ლოგიკური შედეგი მეორისა. სამაშია გარანტიის ჩემისა, რომ ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოთა შორის შეუძლებელია ხანჯ

გრძლივი კონფლიქტი „სახელმწიფოებრივი ადმინისტრაცია, — ამბობს პროფესორი ვრადავსკი — ყველა მისი ორგანოებით, არის არა მარტო საშვალება სანიტარული საქმეების და მიმოსვლის საქმეების გაუმჯობისებისა არამედ ამასთან ერთად ის არის საშვალება, რომელიც უზრუნველყოფს არსებულ ძალა-უფლების ბატონობას (იხილეთ Грѣдѣвскій Наѣ. Рус. Госуд. права I. III ст. 20—21). აი, ამისთვის ვფიქრობთ რომ სრულ ნდობა უნდა ქონდეს საფუძვლად ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოთა შორის განწყობილების მოწესრიგებას.

ინგლისში თვითმართველობები ეყრდნობიან უმთავრესად სამ კატეგორიის აქტებს. პირველ კატეგორიას შეადგენს დამფუძნებელი აქტები, რომლებიც ქმნიან სხვა და სხვა ტიპის ადგილობრივ ორგანიზაციებს და ანიჭებენ უკანასკნელებს განსაკუთრებულ ფუნქციებს. მეორე ჯგუფი კანონებისა შესდგება „საერთო აქტებიდან“. ეს აქტები ეხებიან სპეციალურ საკითხებს და სეპარატიული მნიშვნელობა აქვთ. მესამე ჯგუფს შეადგენს „ადოპტიური აქტები“ ეს იმ აქტების რიგია, რომელიც მხოლოდ ადგილობრივი დაწესებულებების აღიარების შემდეგ მათვის სავალდებულოთ ხდება. ამ აქტების გარდა არის კიდევ ადგილობრივი და კერძო აქტები. ამ მრავალი აქტების საშვალებით პარლამენტს მეტის მეტი დიდი გავლენა აქვს ადგილობრივ ცხოვრებაზედ. პარლამენტი აერთიანებს ერთეულებს და და ცალცალკე მყოფ ცენტრების ცხოვრებას. პარლამენტი იძლევა იმ საზღვრებს, რომელშიც უნდა მიმდინარეობდეს მთელი სახელმწიფოს ცხოვრება. ამის გამო ერთეულების ერთგვარი დამოუკიდებელი და თავისუფალი მოღვაწეობა სრულებით არ მოქმედობენ სახელმწიფოს მთლიანობაზედ. დეცენტრალიზაცია არ უკარგავს სახელმწიფოს თავის მთლიან კოლორიტს. ცენტრალურ ორგანოები ინგლისში, როგორც აღვნიშნეთ, სრულებით მოკლებული არიან საშვალებას ჩაერიონ ადგილობრივ ორგანოთა საქმეებში. პარლამენტის დაუხმარებლად ისინი ვერ მოახდენენ ვერავითარ რეალურ გავლენას თვითმართველი ერთეულების ცხოვრების მიმდინარეობაზე. კანტროლი და მასთან შეკავშირებული ფუნქცია ზედამხედველობისა, არის ის უმთავრესი ფუნქციები, რომლებსაც პარლამენტი ანიჭებს ცენტრალურ ორგანოებს ადგილობრივ თვითმართველობის მიმართ. მაგრამ თვით ეს უფლება კანტროლისა სპეციალური დებულებებით და აქტებით განისაზღვრება. კანტროლი მიმართულია იმისკენ, რომ კანონის ავტორიტეტზე მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არავის მიერ არ იყოს უარყოფილი. კანტროლი საშვალებაა, მართველობაში მთლიანობის დასაცავათ. კანტროლი არის გარანტია იმისა, რომ თვითმართველობის მხრივ უარყოფილი ნორმა აღდგენილი იქნება სათანადო დაწესებულებების მიერ. კანტროლი არის ის იურიდიული ფაქტი, რომელიც მიმართულია იმ იურიდიული შედეგების გამოსაწვევათ, რომელიც სდევს ნორმის უარყოფას. ცენტრალური ორგანოთა მოღვაწეობა როგორც ინგლისში ისე ყოველ უფლებრივ სახელმწიფოში

უნდა განისაზღვრებოდეს. კანტროლის ზედამხედველობის ფუნქციებით. ესე იგი, მათ უნდა თვალყური ადევნონ, რომ ცალკე პირების, და კორპორაციების მხრივ, არ იყოს უარყოფილი ნორმაში გამოხატული პარლამენტის ნება.

მთელ ცხოვრების მსვლელობას განაგებს პარლამენტი. მის განკარგულებაშია ის საშვალებანი, რომლითაც შესაძლოა რეალური შემოქმედი ძალების ამოძრავება. ამ საშვალეების, თუნდაც ნაწილობრივ აღმასრულებელ ორგანოთა ხელში გადაცემით, ამ ორგანოთა მოღვაწეობა განსაკუთრებულ სფეროში კანონმდებლობის ხასიათს ღებულობს და უნებლიეთ პარლამენტს პასიურ მეტოქეობას უწევს. ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოებს არ უნდა შეეძლოთ რაიმეს შეცვლა რეალურ ინტერესების განწყობილებაში. ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოები მოწოდებული არიან რეალურ ძალთა კომბინაციაზე დამყარებულ ნორმების დასაცავათ. როგორც სასამართლოები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იურიდიულ ნორმების გამახორციელებელნი არიან, ისეც ცენტრალური ორგანოების მოღვაწეობა, იმ ნორმების დაცვით უნდა განისაზღვრებოდეს, რომელიც ფარგვლენ მთელ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. მეცნიერებაში დიდ ხანს იყო გაბატონებული ის ღებულება, რომ მთავრობის და მისი ორგანოების დანიშნულება კონკრეტულ საკითხებზე ზრუნვაა, მაგალითად, ზრუნვა ღარიბებისათვის, განათლების საქმის მოწესრიგებისათვის, ხალხის ზნეობისათვის და სხვა. მაგრამ ო. მაიერის მხრივ იყო წამოყენებული სხვა ტეზა, რომელიც როგორც სწორი ღებულება მეცნიერებაში ყველას მხრივ ცნობილი და აღიარებულია. სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოთა დანიშნულებას უპირველესად ყოვლისა, შეადგენს არა ზემოყვანილი საკითხების დაცვა და მათზე ზრუნვა, არამედ დაცვა იმ იურიდიული ნორმებისა, რომლებიც ფარგვლენ საერთო სახელმწიფოს მოღვაწეობას. რა თქმა უნდა ეს ღებულება გულიანობას იმასაც, რომ კანონმდებლობა ანიჭებს აღმასრულებელ ორგანოს იმ საშვალეებს, რომელითაც შესაძლოა ნორმაში ჩასახულ შინაარსის განხორციელება.

მართველობის ტენზიკა, რომელიც უფლებრივ სახელმწიფოში ისახამს მიზნათ კანონის რაციონალურად შესრულებას, შეუძლებელია იყოს მიმართული კანონმდებლობის დეფექტების შესწორებისკენ. მართველი ორგანოები იცავენ ფორმას. მაფ არ შეუძლიათ ისეთი აქტების გამოცემა, რომელითაც იქმნება ახალი განწყობილება ან იცვლება არსებული განწყობილებათა კომბინაცია. აღმასრულებელ ცენტრალურ ორგანოებს უნდა ენიჭებოდეს, პარლამენტის მხრივ, მხოლოდ იმ ზომების მიღების უფლება, რომლებიც მართველობაში მთლიანობას და ერთფეროვანებას უზრუნველყოფენ. ცნობების მიწოდება, ცირკულიარები ინსტრუქციები, კანტროლი და ბოლოს თვით ის რეპრესიები, რომლითაც აღმასრულებელი ორგანოები სარგებლობენ კანონების და ბრძანებლობის განსახორციელებლად, არის ის საშვალეანი, რომლითაც ცენტრალური ორგანოები ახდენენ გავლენას. ეს ის საშვალე-

ბანი არიან, რომლითაც ცენტრალური მთავრობის ორგანოები, — როცა თვითმართველობის მოღვაწეობა სავსებით მოწესრიგებულია, — ხელს უწყობენ სახელმწიფო ცხოვრების ნორმებით განსაზღვრულ ფარგლებში მიმდინარეობას.

რანაირი უნდა იყოს თვითმართველობების უფლებანი უფლებრივ სახელმწიფოში? რანაირი უნდა იყოს ცენტრალური ორგანოების უფლებანი ადგილობრივ ორგანოებთან შედარებით თუ ამ უკანასკნელების იურიდიული და მატერიალური კომპეტენციები განსაზღვრული იქნებიან კანონმდებლობის მიერ? შეუძლიათ თუ რა უმაღლეს ცენტრალურ ორგანოებს ქონდეთ გარდა კონტროლისა სხვა ფუნქციები? აი, ის საკითხები, რომლებიც წარმოიშებიან, როცა ისმება კითხვა, თუ როგორი უნდა იყოს თვითმართველობის იურიდიული მდგომარეობა უფლებრივ სახელმწიფოში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რითია უზრუნველყოფილი სოლიდარობა ადგილობრივ და ცენტრალურ დაწესებულებათა შორის დემოკრატიულ სახელმწიფოში. მაგრამ გარანტია, რომელიც ცხოვრებამ წარმოშვა აუცილებლათ უნდა იყოს უფლებრივ ნორმაში აღიარებული. დაბოლოს კანონის ერთი დიდი მნიშვნელობა იმაშია, რომ ის წარმოადგენს ფორმალურ აპრიორულ დებულებას, რომელსაც სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს.

ეკონომიკა და მაზედ აგებული პოლიტიკური ცხოვრება ქმნიან მატერიას, იურიდიული ნორმა ანიჭებს მას ფორმას. (იხილეთ *ИШТАММЕРЬ. ПРАВО И ХОЗЯЙСТВО. Т. II.*) კანონი, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებთა კომპეტენციებს, ქმნის მათ განწყობილების ფორმას. და ყოველივე კოლიზიის დროს ნორმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მართლია, იქ სადაც უმაღლესი მართველობა და თვითმართველობები თავის ძალა-უფლებას კრებენ ერთ და, იმავე წყაროდან, კოლიზიას არ აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს მას იქ, სადაც სახელმწიფო მართველობის ორგანიზაცია არ შეესაბამებიან ადგილობრივ თვითმართველობის სტრუქტურას, პირველ შემთხვევაში კოლიზია შესაძლოა მხოლოდ კონკრეტულ საკითხების შესახებ. ანტაგონიზმის გაღრმავება შეუძლებელია, რადგან როგორც ვსთქვით ადგილობრივ ორგანოთა სტრუქტურა ლოგიკური შედეგია მთელი სახელმწიფოებრივი მართველობის ფორმისა. ინტერესები, სწორი მართველობისა, მოითხოვენ ამ გვარ კონფლიქტებს რაც შეიძლება უფრო ნაკლები ალაგი ქონდეს. ამაშია ეკონომია იმ ენერჯიისა, რომელსაც მოყავს მოძრაობაში მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი.

არსებობს დიდი ჯგუფი, როგორც თეორეტიკოსებისა ისე პოლიტიკური მოღვაწეებისა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ცირკულიარების, ცნობების და ინსტრუქციების მიწოდების გარდა, ცენტრალ მართველ ორგანოებს უნდა ქონდეთ კიდევ ხელმძღვანელობის უფლება. ხელმძღვანელობა ეს ის მცნებაა, რომელიც სრულებით მოკლებულია იურიდიულ შინაარსს. თუ ხელმძღვანელობა (როგორც ჩვენ ვხმარობდით მას პირველ წერილში)

კანონს ემყარება და კანონის შესრულებისაკენ არის მიმართული მაშინ ის იგივეა, რაც ცირკულიარების, ინსტრუქციების და კომპეტენტური ცნობების მიწოდება.

თუ ცენტრალურ ორგანოებს ევალებათ ხელმძღვანელობის ფუნქციები, ეს ნიშნავს იმას, რომ ცენტრალური ორგანოები სრულებით დამოუკიდებელი და თავისუფალი არიან იმ საშუალების გამოძენაში, რომლითაც ისინი ფიქრობენ დასახული ზომის გატარებას, მაგრამ სანამ აღმასრულებელი ორგანო თვით პარლამენტს ემყარება, და პარლამენტი არის ერთად ერთი წყარო, რომლიდანაც წარმოიშვება ცენტრალურ ორგანოთა ძალა-უფლება. სწორი მართვლობის მოწყობისათვის საჭიროა, რომ მისი მოღვაწეობა იურიდიულ ნორმები მკაცრად და კატეგორიულად იყოს განსაზღვრული. მართალია უწყების წარმომადგენელი შეიძლება იყოს წარმომადგენელი ზმ ჯგუფისა, რომელიც შეადგენს, როგორც პარლამენტში ისე თვითმართვლობაში უმრავლესობას, მაგრამ ადგილობრივი ორგანოები, იმ შემთხვევაში თუ მისი საქმეების განგებლობაში, შეერიენ სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა პირნი თავის წინადადებით და ზომებით, მოკლებული იქნებიან საშუალებას ნორმალურად იმოღვაწეონ, და მტკიცე ორგანიზაცია შექმნან.

რა თქმა უნდა პარლამენტს შეუძლია მიანიჭოს მთავრობის ორგანოებს ისეთი ფართო პრეროგატივები, რომ მრავალი განწყობილებისათვის თვითონ გახდეს კანონმდებელ ორგანოთ, მაგრამ ისეთი სახელმწიფო, სადაც პარლამენტი ამ გზას დაადგება, იგი ვერას დროს უფლებრივ სახელმწიფოთ ვერ გახდება.

დადამუშნებული კრების წევრმა რ. არსენიძემ მეორე კრების სხდომაზედ ნათლად გამოხატა ეს დებულება. „ჩვენ გვინდა, რომ ყოველივე ძალა-უფლება მხოლოდ ამ დამუშნებელი კრებიდან გამომდინარეობდეს.“ შესაძლოა სულ სხვა სტრუქტურა ძალა-უფლებისა, თუ პარლამენტის გეგმონია იქნა უარყოფილი. შესაძლოა, რომ ხელმძღვანელობითი უფლებები პარლამენტიდან გადავიდეს აღმასრულებელ ორგანოთა ხელში. ინგლისში, როგორც ამას აღნიშნავენ დაისი, სიდნეი ლუ, ბრაისი და ერთის მხრივ ენზონი უკვე ხდება ამ გვარი ევოლუცია. დაისი წინასწარმეტყველობს, რომ მოკლე ვადაში კაბინეტი „პარლამენტალურიდან შეიძლება გახდეს არა პარლამენტალურ აღმასრულებელ ძალათ“... ასეთი ევოლიუცია არის ნაყოფი იმისა, რომ წარმომადგენლები აღმასრულებელ ორგანოსი უფრო დამოკიდებული ხდებიან ამომრჩევლებისაგან, ვიდრე პარლამენტისაგან. ბრაის ასე ახასიათებს თანამედროვე ინგლისის აღმასრულებელ ორგანოს მდგომარეობას: „დღევანდელი აღმასრულებელი ძალა სარგებლობს ზოგიერთი შუპირატესობით არა კანონის ძალით არამედ პრაქტიკის საშვალეებით“ (Ст. 77). მაგრამ ამ გვარი ტენდენცია დღეს დღეობით ჩვენში არ არსებობს. პირიქით მთელი პოლიტიკური წრეების ყურადღება მიმართულია

პარლამენტის გაძლიერებისაკენ. პარლამენტი არის ერთად ერთი ორგანო რომელიც ხალხის ნების გამოხატველია. დღევანდელმა სახელმწიფოებრივმა სტრუქტურამ, პარლამენტი, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზედ სდგება, აღიარა ერთად ერთ სრულ უფლებრივ ორგანოთ, რომლითაც ხალხი თავის ნებას აღიარებს. ჩვენმა პოლიტიკურმა პრაქტიკამ არ იცის აპელაცია ხალხის მიმართ, რომელსაც მიმდრთავს ხოლმე ინგლისის მთავრობს განსაკუთრებულ შემთხვევაში.

ამ საშვალებას იშვითად მიმართავენ ხოლმე ინგლისში, მაგრამ ასეთი წესის არსებობა ამტკიცებს ისეთი პირობების არსებობას, რომლის ნიჟადაც შესაძლოა ზემოაღნიშნული გენეზისი ინგლისის სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა. მოწინავე სახელმწიფოების პოლიტიკურმა ცხოვრებამ დაანახა კაცობრიობას, რომ ადვილი შესაძლებელია პარლამენტის ერთ წერტილზე გაყინვა. მრავალი ფაქტორების გამო სოციალური ცხოვრებაც ისე გართულდა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება ისე ჩქარი ტემპით სწარმოებს, რომ შეიძლება მოხდეს, რომ პარლამენტის უმრავლესობა ვერ გაუწევს ანგარიშს შექმნილ გარემოებას. და არ შეესაბამებოდეს ახალ შექმნილ პოლიტიკურ კანიუკტურას. (იხილეთ Матэ Россуеку парламент) შესაძლოა, რომ მომავალში პარლამენტის ადგილი დაიჭიროს უფრო ელასტიურმა და მოქნილმა აპარატმა. როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება იმ განვითარების საფეხურს მიაღწევს, რომელსაც უკვე მიახწია ინგლისის კულტურამ. აღმასრულებელი ძალა შეიძლება მაშინ პიბდაპირ დაეკრდნოს საზოგადოებრივ აზრს. მაგრამ სანამ არსებობს პარლამენტის გეგემონია, ესე აგი, სანამ ხალხი თავის ნებას მხოლოდ პარლამენტის საშუალებით აღიარებს, ყოველივე ორგანოს მოღვაწეობა, რომელსაც თავის სრულუფლება პარლამენტის მიერ ეძლევა, უნდა განისაზღვრებოდეს კანონებით. თვით პარლამენტს, როგორც უაღრეს იურიდიულ დაწესებულებას აქვს ტენდენცია უფლებრივობის და კანონიერების დამყარებისაკენ, კანონიერების დამყარება კი შეუძლებელია თუ მთელ სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა მოღვაწეობა უფლებრივი ნორმებით არ იქნა მოწესრიგებული.

თუ კანონმდებლობა არ საზღვრავს ერთ რიგში მოთავსებულ დაწესებულებათა ფორმალურ კომპეტენციას, ეს დაწესებულებანი პრაქტიკულად ფარგლენ იმ საკითხების რიგს, რომლის გადაწყვეტაში სცდილობენ იყვენ სრულებით ავტონომიური და სხვა დაწესებულებისაგან დამოუკიდებელ ორგანიზაციათ. ამ ფაქტიურად შემოფარგლულ კომპეტენციის დარღვევა ხანდისხან აუცილებელია სხვა დაწესებულებების მოღვაწეობისათვის. ისეთი შემთხვევები უფრო მცირეა; როდესაც დაწესებულებათა კომპეტენციები კანონმდებლობის მიერ განისაზღვრებიან. მაგრამ არავითარი საშვალებით დაწესებულებათა კომპეტენცია ისე არ ირღვევა როგორც განყენებული დებულების აღიარებით. კანონი არ უნდა შეიცავდეს ისეთ დებულებებს,



რომლის შინაარსი მკაცრად და მარტივად განსაზღვრული არ არის. ასეთი ნორმა ან ფიქციით ხდება ან თვითნებურებას აკანონებს. ჩვენ ვიცით მაგალითები, როდესაც ცხოვრების განვითარება ისეთ ხასიათს ღებულობს, რომ არსებული კონსტიტუცია სრულებით არ შეესაბამება მის ახალ ელფერს. მაგრამ რავენ არ იტყვის, რომ ეს არის საკმარისი არგუმენტი კონსტიტუციის უარყოფისათვის. უფლებრივი ნორმა განმარტავს არა მარტო იმას თუ რა არსებობს, არამედ აღიარებს იმასაც თუ რა უნდა იყოს, ესე იგი, რა მოღვაწეობა არის სოციალურ სასარგებლო მოვლენათ აღიარებული. ამ ორ მცნებათა ასერბულსა და ვალდებულობისა შორის, შეუძლებელია გაყვანა იმ დემარკაციონური ხაზისა, რომელიც ქმნის ნამდვილ დუალიზმს. ამ ფორმალური მიმდინარეობას მეცნიერებაში, რომლის გამომხატველი კოვენი და კელსენია, ის დიდი ნაკლი აქვთ, რომ უფლებრივი ნორმა მათ მცნებაში სრულებით მოკლებულია საშვალებას რაიმე შედეგი გამოიწვიონ თვით რეალურ მოვლენათ რიგში. ცხოვრების ზრდამ შეიძლება სრულებით შეარყიოს იურიდიული ნორმები, მაგრამ სწამ არ მომხდარა ასეთი კოლიზია უფლებრივ ნორმა სავალდებულო ყველასათვის: და მისი შეუსრულებლობა უარყოფითი აღიოზურ იმპულსებს იწვევს საზოგადოების წევრთა შორის. სანამ პოლიტიკური მდგომარეობა შეუცვლელი რჩება, ნორმა ხელს უწყობს ყოველივე განწყობილების მოწესრიგების განმტკიცებას. ამ მოსაზრებით ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოთა მოღვაწეობა უნდა განისაზღვროს კანონით.

ჩვენ წინათ ვსთქვით რომ: „შეუძლებელია ცენტრალურ ორგანოთა მოღვაწეობა განისაზღვრებოდეს ისეთი ელემენტარულ ფუნქციებით, როგორც არის კანტროლი და ზედამხედველობა.“ ეს დებულება, სრულებით არ ეწინააღმდეგება იმ დებულებას რომელიც ჩვენ ეხლა წამოვაყენეთ. ეს დებულობა როცა წამოვაყენეთ მაშინ ვგულისხმობდით, იმას, რომ თუ ცენტრალურ ორგანოებს აქვთ რაიმე უფლებები, მათ განკარგულებაში უნდა იყოს ის საშვალებებიც, რომლებიც, უზრუნველყოფენ უფლების ცხოვრებაში გატარებას. ცენტრალურ ორგანოებს ინსტრუქციების და ცირკულარების მიწოდებასთან ერთად უნდა შეეძლოთ ერთგვარი ზომების მიღება. თუ უფლება ამ ზომებს არ გულისხმობს მაშინ ის ფაქტიური უფლებაა. ეს ზომები, იმის მიხედვით თუ რა რიგით არის საკითხები დამოკიდებული ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებისაგან შეიძლება სხვა და სხვანაირი იყოს. როდესაც, მაგალითად, რაიმე საკითხების რიგი, სრულ ერობათა გამგებლობაში არიან შეტანილი, ზომებს, რომლებსაც მმართველ ცენტრალური დაწესებულებანი არის მხოლოდ სამოსამართლოს წინაშე გასაჩივრება. მაგრამ თუ რაიმე საკითხს ან საქმეს თვითმართველობები და ცენტრალური ორგანოები ერთად განაგებენ, უკანასკნელებს შეუძლიათ ზემოყვანილ ზომასთან ერთად სხვა ზომების მრღებაც. მაგალითად; ადმინისტრაციის ერობები და სამინისტრო განაგებენ ერთად. შინაგან საქმეთა

მინისტრს შეუძლიან მოხელის დროებით გადაყენება და სხვა. ამ ზომებით მართველი ორგანოები სკდილობენ იმ ფორმის უზრუნველყოფას, რომელიც კანონით არის აღიარებული. სანამ ადგილობრივი ორგანოთა მოღვაწეობა კანონის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში მიმდინარეობს, ცენტრალური ორგანოები ვერავითარ ზომებს ვერ მიმართავენ, და ამის მხრივ მათ არ შეუძლიათ რამე გავლენის მოხდენა ადგილობრივ ცხოვრებაზე. პარლამენტმა შეიძლება იმსჯელოს იმაზე თუ რა ფარგლებში უნდა იყოს ამ საკითხების კატეგორია, რომლებიც ერობებს ექვემდებარებიან, მას შეუძლია ეს რიგი ან შეავიწროოს, ან მეტის მეტად გააფართოოს. „მაგრამ თუ კანონი ანუკებს თვითმართველობებს უფლებას, სულ ერთია რა ხასიათის და მნიშვნელობის იქნება იგი, ცენტრალურ ორგანოებს უნდა ქონდეთ მხოლოდ თვალყურის დევნის უფლება.

### გ. ნაწიშვილი.

## როგორ უნდა მოეწყოს აგრონომიული დახმარება ერობაში.

(დასასრული).

როგორც ყველა საქმე, ისე აგრონომიულ დახმარების საქმეც უნდა იკისროს ერობის გამგეობამ. ეს უკანასკნელი აგრონომიულ დახმარებას აწარმოებს ორი ორგანოს საშუალებით: ერთი ორგანოა აღმასრულებელი — აგრონომიული განყოფილება (ანუ ბიურო) და მეორე სათათბირო — აგრონომიული (ან ეკონომიური) საბჭო. აგრონომიულ განყოფილებაში შედის — მაზრის და რაიონის აგრონომები, მაზრის აგრონომის თანაშემწე და საქმის მწარმოებელი. აგრონომიულ საბჭოს შეადგენს: 1) 3 ხმოსანი სამაზრო ყრილობისგან არჩეული, 2) გამგეობის წევრი, 3) მაზრის და აგრონომები, ბეითალი და სტატისტიკოსი, 4) კოოპერატივების წარმომადგენელი, 5) სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელი, 6) მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი, 7) სპეციალისტები და საქმის მკოდნენი გამგეობის მიერ მოწვეულნი.

აგრონომიული განყოფილება ადგენს მომავალი წლის მუშაობის გეგმას, ხარჯთაღრიცხვას, მოხსენებას და სხ. ყველა ეს უნდა გადაეცეს აგრონომიულ საბჭოს, რომელიც წარმოდგენილ მოხსენებას გასინჯავს, საჭირო შესწორებას შეიტანს და გადასცემს ერობის გამგეობას. ეს უკანასკნელი წარდგენილ მოხსენებას უბრუნებს აგრონომიულ განყოფილებას სისრულეში მოსაყვანათ, თუ მოხსენებას არ იღებს მაშინ გადაეცემა სამაზრო ყრილობას, რომელიც გადასჭრის საქმეს. სამაზრო ყრილობას უნდა წარედგინოს აგრეთვე დასამტკიცებლათ: 1) გეგმა და ხარჯთაღრიცხვა მომავალი წლის

აგრონომიულ დახმარებისა, 2) გავლილი წლის მოქმედება აგრონომიულ განყოფილებებისა და 3) ის მოხსენებანი ან პროექტები, რომელთაც გამგეობის წევრნი თუმცა იზიარებენ, მაგრამ თხოულობენ ახალი ხარჯის გაღებას. აგრონომიულ საბჭოს გამგეობა იწვევს წელიწადში ორჯელ ან სამჯელ საბჭოს ყავს გამოყოფილი მუდმივი აგრონომიული კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს აგრონომიულ განყოფილების მუშაობას, არკვევს სხვადასხვა სპეციალურ საკითხებს და ადგენს მოხსენებას თავის მოქმედების შესახებ.

წელიწადში ერთხელ ან ორჯელ გამგეობა იწვევს სამეურნეო თათბირს მაზრის საჭიროების გასაცნობათ ამ თათბირს ესწრებიან: აგრონომიული საბჭო, მაზრაში მომუშავე აგრონომიული პერსონალი, კოოპერატივების წარმომადგენელი, სამეურნეო საზოგადოებას წარმომადგენელი, ერობის ხმოსნები, სოფლის მეურნენი და სხვა მოწვეულნი გამგეობის მიერ. თათბირს იწვევს და სამუშაო პროგრამას ადგენს გამგეობა. აგრონომიულ დახმარების განსახორციელებლათ—მაზრის აგრონომის გარდა—მოწვეულნი უნდა იყვნენ რაიონის აგრონომები, ინსტრუქტორები და სამეურნეო იარაღების საწყობის გამგენი. საჭიროა პერსონალისთვის ადგილობრივი ენების ცოდნა და შესაფერისი ცენზი.

მთელი მაზრა სხვა და სხვა პირობების მიხედვით შეიძლება დაიყოს რაიონებათ. რაც უფრო პატარა იქნება რაიონი, მით უკეთესია. ზოგიერთ რუსეთის ერობაში აგრონომის სამოქმედო რაიონის დიამეტრი არ აღემატება 15—20 ვერს.

რა ევალება რაიონის აგრონომს? მას ევალდება:

- 1) რაიონის სხვა და სხვა ადგილას სამეურნეო ბაჟის, ლექციის ან სამეურნეო მოკლე ვადიანი კურსების მოწყობა.
- 2) საჩვენებელ და საცდელ მიღვრების ორგანიზაცია რაიონში.
- 3) სამეურნეო საზოგადოების და სოფლის კოოპერატ. დახმარება.
- 4) სამეურნეო იარაღის გაქირავების და დემონსტრაციის მოწყობა, კანტროლი საწყობის გამგეს.
- 5) ადგილ. გამოფენის მოწყობა, დახმარება ყველა სამეურნეო დარგს.
- 6) უფასო რჩევა (კონსულტაცია) სხვა და სხვა საკითხზე.
- 7) სხვა და სხვა გამოკვლევა ეკონომიური ხასიათისა და მოხსენების დამზადება.
- 8) წლიური ანგარიშის დამზადება.

მაზრის აგრონომს ევალება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ზომების გარდა აგრეთვე: 1) რაიონის აგრონომების მოქმედების ყურისგდება, 2) მოხსენების მომზადება სხვა და სხვა აგრონომიულ საკითხზე საერობო ყრილობისთვის წარსადგენათ, 3) საქმის წარმოება და პასუხის გება აგრონომიულ განყოფილებისა, 4) ანგარიშების დამზადება თავისი და ამხანაგების მოქმედების შესახებ ყრილობისთვის წარსადგენათ.

სამეურნეო იარაღების გასაქირავებელ პუნქტის გამგეს ევალტბა: 1) სუფთად შეინახოს ჩაბარებული ინვენტარი, 2) თვალყური ადევნოს მანქანებს გაქირავების დროს, 3) ასწავლოს გლეხებს მანქანების ხმარება და 4) აწარმოოს საკვიტანციო წიგნები.

რაც შეეხება ინსტრუქტორებს, რომლებიც ამავე დროს ითვლებიან რაიონის აგრონომების თანაშემწეთ, მათ ევალტბათ თითქმის იგივე, რაც რაიონის აგრონომებს. ასეთია მოკლეთ პერსონალის ორგანიზაცია და მათი მოქმედების გეგმა. ახლა განვიხილოთ თუ რაში გამოიხატება აგრონომიული დახმარება და როგორ უნდა მოეწყოს იგი პირველ სამოქმედო წელიწადს.

### რაიონის შესწავლა და გამოკვლევა.

სანამ აგრონომიული პერსონალი მუშაობას შეუდგება, საჭიროა თავისი რაიონი შეისწავლოს ყოველ მხრივ. შესწავლასთან ერთად უნდა მოახდინოს შესაფერი გამოკვლევაც, თუ ამ მიზნისთვის ერობას სპეციალურად მოწვეული სხვა პერსონალი არა ყავს. ეს გამოკვლევა ხდება წინდაწინ შედგენილი პროგრამით და ეხება: მცხოვრებთა რიცხვს, მიწების რაოდენობას და მფლობელობას, სხვა და სხვა სამეურნეო დარგების აღწერას, ჰავა ნიადაგის გამოკვლევას და სხ. თუ ერობას მოწვეული ყავს სტატისტიკოსი, იგი მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ მუშაობაში. ამის შესახებ სამუშაო პროგრამას და ინსტრუქციას იძლევა გამგეობა.

### სამეურნეო კურსები, ლექციები და კონსულტაცია.

საუკეთესო საშუალება, რომ აგრონომიულ პერსონალმა და ხალხმა ერთმანეთი გაიცნოს, არის ბაასი და ლექციების გამართვა სხვა და სხვა სამეურნეო თემაზე. შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე, როცა ხალხი მოკლილია, რაიონის აგრონომი მართავს მოკლე ვადიან (15—20 დღე) სამეურნეო კურსებს, რომელზედაც ლექციებს კითხულობს როგორც თვით რაიონის აგრონომი, ისე სხვა რაიონის აგრონომ-სპეციალისტები. კურსები უფასო უნდა იყვეს. მისი პროგრამა უნდა დამტკიცდეს გამგეობის მიერ. სასურველია კურსებზე წაკითხულ იქნეს ლექციები შემდეგ თემაზე: მიწის დამუშავების ტექნიკა, ძვირფას მცენარეთა კულტურა, ხეხილის მტრებთან ბრძოლა, საქონლის მოშენება და სხ. კურსების შემდეგ სასურველია ექსკურსია ახლო-მახლო სოფლებში. აგრონომიული პერსონალი მოვალე არის ყოველ-ნაირი რჩევა მისცეს მეურნეს, როცა მას ამისთვის მიმართავენ.

### საჩვენებელი და საცდელხ მინდვრები

საჩვენებელი მინდვრის გამართვას მიზნათ აქვს აჩვენოს ადგილობრივ მეურნეს—მიწის დამუშავების ტექნიკა, ახალი მანქანების ხმარება, რომელიმე მცენარის მოვლა-მოყვანა და სხ. აქ მუშაობა მარტივია და მეურნეს

აჩვენებენ: 1) როგორ უნდა მომზადდეს ნიადავი თესვის წინ, 2) როგორ უნდა დაითესოს და როგორი თესლით, 3) როგორი მოვლა უნდა მცენარეს მოსავლის აკრეფამდე; 4) მოსავლის აკრეფა და რაოდენობის გამოკვლევა, 5) პატივის ხმარება და სხ.

საცდელ მინდორზე აგრონომი აწარმოებს ისეთ მუშაობას, რომლის ნაყოფიერ შედეგში თითონაც არ არის დარწმუნებული. მაგალითათ სხვა და სხვა ხელოვნურ პატივის შეტანა მიწაში, ახალი მცენარის მოვლა-მოყვანა, საჭირო მორიგებითი თესვის დამკვიდრება და სხ. აგრონომი ერთ ან ორ ალაგას მართავს საკანტროლო საჩვენებელ მინდვრებს, რომელზედაც თითონ აწარმოებს ყველა მუშაობას და ამიტომ, მიტეხულ შედეგებში პასუხის მგებელია. დანარჩენ ადგროლებში შეძლების და გვართ თვალ-ყურს ადევნებს საჩვენებელ მინდვრებს. საცდელი მინდორის გამართვა პირველ წელსვე, როცა რაიონი არ არის შესწავლილი, არ არის სასურველი.

### ვენახის და ბაღების წამლობის მოწყობა და დემონსტრაცია.

ყოველ რაიონში, სადაც კი ბაღ-ვენახები არის, იმართება საჩვენებელი ხეხილის და ვაზის წამლობა. ამ მიზნისთვის აგრონომი პატრონის თანხმობით ირჩევს ბაღს და აქ აწარმოებს მუშაობას მთელ სეზონში, აგრონომ-ინსტრუქტორები აჩვენებენ როგორ კეთდება სხვა და სხვა წამალი, რა დროს არის სხურების დრო, რა თვისებისაა ხეხილის მავნე მწერი ან პარაზიტი. სასურველია მოეწყოს ხეხილის სხურება მთელ რაიონში, რისთვისაც საჭირო აპარატებს აქირავენს ერობა, მუშაობას ხელმძღვანელობს აგრონომიული პერსონალი. კარგი იქნება რაიონში ვაიმართოს ხეხილის სანერგე პირველ წელსვე.

### სამეურნეო იარაღების გაქირავება.

რაიონში ორ ან სამ ადგილას მოწყობილი უნდა იყოს სამეურნეო იარაღების გასაქირავებლათ პუნქტი, საიდანაც მეურნეს შეძლება ექნება მცირე ჭირით გაიტანოს სახმარებლათ რომელიმე მანქანა. თუ ეს მანქანა უცნობია ხალხისთვის, აგრონომი ჯერ ასწავლის ხალხს მის ხმარებას და თითონ სცდის ადგილობრივ. პუნქტის გამგე ესწრება მანქანების მუშაობას. საჭიროა იყოს ყოველ პუნქტზე: 1) სარკვევი მანქანა (ტრიერი) 2) გუთნები, 3) ფარცხები, 4) სათესი მანქანები, 5) სიმიდის საცხევავეები და 6) პურის სამკალი.

### სამეურნეო იარაღების და თესლეულობის გავრცელება.

აგრონომი მოვალეა გამოირკვიოს თავის რაიონში რომელი ტიპის მანქანებია საჭირო. ამისდა მიხედვით ის მართავს ამ იარაღის დემონსტრაციას და ურჩევს ხალხს, სწორეთ ასეთი ტიპის იარაღის შეძენას. იგი

დაახლოვებით არკვევს რამდენი და რა ნაირი იარაღია საჭირო რაიონისთვის და ატყობინებს მეურნეთა თხოვნით ცენტრალურ იარაღების საწყობს, რომ ხსენებული იარაღი გამოგზავნოს გასასყიდათ. აგრონომის მოვალეობაა იზოვნოს თესლეულობა მთელი რაიონისთვის. იგი ეხმარება მეურნეს თესლის გამოკვლევაში. საჭიროა მოეწყოს თესლეულობის ვაჭრობა ცენტრალურ სამეურნეო იარაღების საწყობთან ქ. თბილისში.

### **სამეურნეო წიგნების, პლაკატების და ფურცლების გამოცემა.**

რაიონის აგრონომი და ინსტრუქტორი მოვალეა დახმარება აღმოეჩინოს ერობასთან არსებულ საგამომცემლო კომისიას ხსენებულ წიგნების შედგენაში, გამოცემაში და გავრცელებაში. წიგნაკები და ფურცლები უნდა დაიწეროს მდაბიო ენით და უნდა ეხებოდეს ისეთ მარტივს საკითხებს, როგორცაა მაგალითათ—სათესი მანქანის მნიშვნელობა, ნიადაგის დამუშავება, ხეხილის მავნე მწერებთან ბრძოლა და სხ. რათა ერთი და იგივე არ გამოიცეს სხვა და სხვა ერობაში საჭიროა წიგნაკების გამოცემა იკისროს ცენტრალურმა ორგანომ, ერობათა კავშირის გამეგობამ.

### **სამეურნეო თათბირი.**

სხვა და სხვა საკითხების გამოსარკვევათ რაიონის აგრონომი აწყობს სამეურნეო თათბირს, რომელსაც ესწრებიან სოფლის მეურნენი, ადგილობრივი სპეციალისტები, გამეგობის წევრნი და ხმოსნები. სხვათა შორის ამ თათბირზე ისმება საკითხები აგრონომიულ დახმარების და ადგილობრივ აგრონომიულ პერსონალის მუშაობის შესახებ. ოქმები ამ თათბირისა ეგზავნება ერობის გამეგობას. ამ თათბირისთვის საჭირო ხარჯს კისრულობს ერობა, თუ ეს ხარჯი ხარჯთაღრიცხვაში წინდა წინვე არის შეტანილი.

### **სამეურნეო გამოფენების მოწყობა.**

გამოფენების მოწყობას აზრათ აქვს გვიჩვენოს როგორ მდგომარეობაშია მაზრაში ან რაიონში. რომელიმე სამეურნეო დარგი. ასეთი გამოფენები საქართველოში ბევრჯელ გამართულა (მაგალითათ, 1902 წელს მეხილეობის გამოფენა, საქონლის გამოფენა სოფ. ვარანცოვკაში). რუსეთის ერობაში ხშირათ იმართება ასეთი გამოფენები და ერობას წინდაწინვე აქვს გადადებული ფული პირველ ხარისხის ექსპონატების დასაჯილდოვებლათ. აგრონ. მოვალეა მოაწყოს ასეთი გამოფენები, თუ ადგილობ. პირობები მას ხელს არ უშლიან, ერობამ კი ფული უნდა გადასდოს ამისთვის.

### **საქონლის გაუმჯობესება.**

ამ დარგს შესწავლა უნდა და ყოველივე მიღებული ზომა თხოულობს სპეციალისტის დასტურს. მაგრამ თუ გამორკვეულია, როგორი ჯიშის სა-

ქონელი ესაჭიროება რაიონს და რა გზით შეიძლება საქონლის გაუმჯობესება, ამ შემთხვევაში აგრონომს ევალება დახმარება გაუწიოს მცხოვრებლებს, მოაწიოს დასამაკებელი პუნქტი (СЛУЧНЫЕ ПУНКТЫ) და კარგი ჯიშის საქონელი მოაგვაროს. ეს საქმე ასე უნდა მოეწყოს: ერობა იძენს სპეციალისტის რჩევით ჯიშთან საქონელს და აძლევს რომელიმე მეურნეს შესანახათ. ყოველივე დამაკებაზე გადაწყვეტილია ნიხრი, ერობისგან დამტკიცებული. ამ ფულს იღებს საქონლის შემნახველი, აგრონომიული პერსონალი და ბეითალი თვალ-ყურს ადევნებს, რომ მიზარებული საქონელი კარგა ინახებოდეს. საქონლის შემნახველთან იწერება შესაფერი პირობა.

იმ რაიონებში, სადაც მერძეობას მისდევენ და ქალაქი შორს არის რძის გასასაღებლათ აგრონომი ასწავლის სეპარატორის და სადღვებლების მუშაობას, ყველის ვაკეთებას და სხვა.

### მელიორაცია და აგრონომიული გამოკვლევა.

მელიორაციის საქმეს: სარწყავი არხების ვაკეთებას, სოფლის გამაგარებას ნიაღვრისგან, ჭაობის გაშრობას და სხ. ვერ იკისრებს მარტო ერობა, რადგან დიდ ხარჯს თხოულობს—ეს ხარჯები უნდა იკისროს სახელმწიფომაც. მაგრამ ერობის მოვალეობაა ყოველ ამისთანა საქმეს ჩაუდგეს სათავეში და იკისროს ინიციატივა. აგრონომებმა და ინჟინრებმა საჭირო მასალები უნდა დაამზადონ, გამოკვლევა უნდა აწარმოონ და სხ. ამ გამოკვლევასთან დაკავშირებულ ხარჯებს ერობა კისრულობს.

აი. ყველა ის, რის ვაკეთებაც შეიძლება მუშაობის ბირველ წელიწადს. ზემოთ არაფერი მითქვამს სამეურნეო სკოლების შესახებ, რაც ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანია აგრონომიულ დახმარების მოწყობაში. სად უნდა ვიხსნას სამეურნეო სკოლა, რა ტიპისა, ვინ უნდა შეინახოს—ეს ისე დიდი საკითხია, რომ ცალკე წერილს თხოულობს.

რა ხარჯებია საჭირო აგრონომიულ დახმარების მოსაწყობათ? ეს იმაზე დამოკიდებულია რა მანქანებით იქნება გატარებული აგრონომიული დახმარება და რამდენ რაიონებათ დაიყოფება მაზრა. მაგალითისთვის მომყავს აგრონომიულ დახმარების ამ წლის ხარჯთაღრიცხვა თბილისის მაზრაში, რომელიც დამტკიცებულია საერობო ყრილობისგან 7 მარტს. მაზრა დაყოფილია 3 რაიონათ—პერსონალი შეადგენს—მაზრის აგრონომს, 2 რაიონის აგრონომს, 2 ინსტრუქტორს და 5 მანქანების გამგეს. მთელი გასაჯარი ნაანგარიშებია სამი თვისა. აგრონომიულ საქმისთვის თბილისის მაზრის ერობის ყრილობამ გადასდო ბირველ ივნისამდე (3 თვე) სულ 152.450 მან. ხარჯები ასე განაწილდა:

#### 1. პერსონალის შენახვა.

- 1) ჯამაგირი მაზრის აგრონომს—თვეში 1.400 მან. სამ თვეში 4.200 მან.
- 2) მისი დღიური 30 მ. დღეში და გზის ხარჯებიც 30 მ.—თვეში 1.200 მ, სამ თვეში 3.600 მან.

- 3) რაიონის აგრონომს თვეში 1.100 მან. ორ რაიონის აგრონომს თვეში 2.200 მან. სამ თვეში 6.600 მან.
- 4) მათი გზის ხარჯი—დღიური 30 მან. და გზის ხარჯი 15 მან. დღეში, სამ თვეში 5.400 მან.
- 5) ორი ინსტრუქტორი, თითოს 900 მ. თვეში—სამ თვეში 5.400 მან.
- 6) მათი დღიური და გზის ხარჯი—სამ თვეში 5.400 მან.

### II. აგრონომიული კაბინეტების მოწყობა (ორისა).

|                              |            |
|------------------------------|------------|
| 1) ავეჯი                     | 1.000 მან. |
| 2) ბუნდოვანი ფარანი          | 1.500      |
| 3) ფოტოგრაფიული აპარატი      | 800 "      |
| 4) საჩვენებელი მასალა        | 1.000 "    |
| 5) პლაკატები, რუკები და სხვა | 500 "      |
| 6) ბიბლიოთეკა                | 1.000 "    |
| 7) წვრილი ინვენტარი          | 500 "      |
| 8) კაბინეტის ქირა            | 150 "      |
| 9) კანცელარიის ხარჯი         | 200 "      |

სულ (ორისა) . . . . . 6.650 მან.

### III. მანქანების გასაქირავებელი პუნქტები.

- 1) გამგეს ჯამაგირი თითოს თვეში 500 მან. ხუთს სამ თვეში 7.500 მან.
- 2) დღიური თითოს 20 მან., ხუთს—9.000 მან.
- 3) საწყობის ქირა თვეში 50 მან.—სამ თვეში 150 მან.
- 4) იარაღების გადატან-გადმოტანა და სხვ. სამ თვეში 1.750 მან.

|   |             |
|---|-------------|
| IV. საჩვენებელ მინდვრების მოწყობა—თითოს                               | 1.750 მან.  |
| V. საწამლავე და სადემონსტრაციო მასალა (შაბა-<br>ბანი, გოგირდი და სხ.) | 10.000 მან. |
| VI. წავეკრის სანერგის შენახვა   | 8.200 "     |
| VII. სამეურნეო ლექციები და კურსები                                    | 7.100 "     |
| VIII. საქონლის მოშენება და მერძეობა                                   | 20.000 "    |
| IX. აგრონომიული გამოკვლევა  | 10.000 "    |

სულ . . . . . 75.450 მან.

არის საკითხები, რომლის გადაჭრაც ცალკე ერობისთვის ძნელია—ასეთია მაგალითად სამეურნეო მანქანების, თესლეულობის, ხელოვნურ პატივის, შაბაბანის და გოგირდის გამოწერა და შექმნა უცხო ქვეყნებიდან მცენარეთა ავთომოტობის შესწავლა და მანე მწერებთან ბრძოლა, სამეურნეო წიგნების გამოცემა, სამეცნიერო გამოკვლევა რაიონებისა ნიადაგის, ჰავის, ეკონომიურ პირობების მხრივ და სხ. შესაძლებელია ზოგმა ერობამ სასურველათ ვერ დააყენოს აგრონომიულ დახმარების საქმე. სა-



ქიროა ერთი ცენტრალური ორგანო მთელი საქართველოსთვის და ამნაირ ორგანოთ შეიძლება იყოს მთავარ აგრონომიულ განყოფილებების დაარსება ცენტრალურ საერობო გამგეობასთან. მთავარი აგრონომიული განყოფილება შესდგება—მეურნეობის ინსპექტორისგან და სამი თანაშემწისგან. რომლებიც ამავე დროს ითვლებიან სხვა და სხვა დარგის სპეციალისტებათ (მემიდვრეობის, მესაქონლობის და ძვირფას—კულტურის მცენარეთა მკოდნე სპეციალისტები). აგრონომიულ განყოფილებას ევალება—1) ადვენოს თვალ-ყური აგრონომიულ დახმარების მოწყობის საქმეს სხვა და სხვა ერობაში, 2) დაიკვეთოს და შეიძინოს დროზე საჭირო სამეურნეო იარაღი, თესლეულობა, შაბიბანი და სხვა მასალა რისთვისაც არსდება ცენტრალური სამეურნეო იარაღების საწყობი ქ. თბილისში, 3) მოაწყოს ბრძოლა მანენ მწერებთან და შეისწავლოს ამ მხრივ რაიონები, ამ მიზნისთვის 1913 წ. დაარსებული ბიურო გადადის ცენტრალურ საერობო გამგეობის განკარგულებაში. 4) იკისროს საჭირო სამეურნეო წიგნების, პლაკატების გამოცემა, 5) სისრულეში მოიყვანოს საქართველოს ერობათა ყრილობის დადგენილება მეურნეობის შესახებ, და 6) შეადგინოს სხვა და სხვა მოხსენება ჩვენი მეურნეობის შესახებ ცენტრალურ ერობის გამგეობასთან უნდა დაარსდეს აგრეთვე სათათბირო ორგანო—აგრონომიული საბჭო, რომელიც მოწვეული იქნება საბუშაოთ ქ. თბილისში გამგეობის მიერ არა ნაკლებ ორჯელ წელიწადში. საბჭოს შეადგენს: 1) ცენტრალ ერობის გამგეობა, 2) წარმომადგენელი სამეურნეო საზოგადოების, კოოპერატივის (კავშირისა), 3) მახრის და რაიონის აგრონომები, 4) სხვა და სხვა სპეციალისტები, 5) და გამგეობისგან მოწვეულნი პირნი. ყოველი მოხსენება, ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიმე ღონისძიება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ყველა ერობისთვის უნდა გაირჩეს ჯერ ამ საბჭოში შემდეგ კი მიღებული და შესწორებული გადაეცეს ცენტრალ ერობის გამგეობას სისრულეში მოსაყვანათ.

აგრონომი **ბ. ქურდიანი.**

## საერობო მედიცინის ორგანიზაცია.

მძიმე პირობებში გვიხდება მუშაობა: გარედან მტერთა ურდოები ემუქრებიან ჩვენს რესპუბლიკას, შიგნით კი სხვა და სხვა სენთა ეპიდემიები. შარშანდელმა ხოლერამ 788 ადამიანი მხოლოდ თბილისში იმსხვერპლა. ხოლერას მოყვა ეპიდემიური ინფლუენცია ანუ „ისპანკა“, რომლის მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო. ამ უკანასკნელ დროს პარტახტიანი ტიფიც მძვინარებდა, მაგრამ ინფლუენციის მოსპობის შემდეგ მან სასტიკი ხასიათი მიიღო. თბილისში პარტახტიანი ტიფის მსვლელობა შემდეგი იყო 1918 წელს: იანვარში—16, თებერვალში—117, მარტში—206, აპრილში—73,

მაისში—196, ივნისში—164, ივლისში—91, აგვისტოში—65, ეკენისთვეში—54. წიფობისთვეში—80, გიორგობისთვეში—191, ქრისტესშობისთვეში—964. სულ 1918 წ. გამხდარა ავით თბილ. პარტახტიანი ტიფით—2207 კაცი. 1919 წლის იანვარში ავით გახდა ამ სენით 1862, თებერვალში—1838, სულ ორ თვეში 3700 კაცი. როგორც ვხედავთ ამ წლის ორი თვის განმავლობაში გაცილებით მეტი ხალხი გამხდარა ავით, ვიდრე მთელ გასულ წელში, ფრიად დამაფიქრებელია ეს მოვლენა. მომავალ ზაფხულში უნდა მოველოდეთ ხოლერას, დეზენტერიას და მალარიის მძიმე ეპიდემიას. უნდა მოველოდეთ იმიტომ, რომ ის საზოგადო მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს წარსული ეპიდემიები ჯერ კიდევ არსებობენ და იმედი არ არის მალე მათი მოსპობისა.

ეს მიზეზი უმთავრესად სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათისანი არიან. პირველი ალავი უჭირავს ომს. მისი შედეგები არი: შიმშილობა, ლტოლვილთა უმწყო მდგომარეობა, ადამიანის ფიზიკურათ და სულიერათ დასუსტება და სხვა. ამ მოვლენებმა თავის მხრით ფართო ნიადაგი მოუშადას ყოველგვარ ეპიდემიების აღმოცენებას და განვითარებას ეპიდემიის გავრცელებას ხელი შეუწყო ბინის სივიწროემ, უწმინდურობამ, წყალის და საპნის ნაკლებობამ და საზოგადოთ ანტისანიტარულმა მდგომარეობამ.

სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზეზებთან ბრძოლა უნდა სწარმოებდეს სახელმწიფოებრივი მასშტაბით ერობების დახმარებით. რაც შეეხება ანტისანიტარულ პირობებთან ბრძოლას და ავითმყოფთათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენას, ეს შეადგენს ერობების და მუნიციპალიტეტების მოვალეობას და მათ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ ამ დიდ სახალხო საქმეს.

ჩვენმა ერობებმა უკვე მიაქციეს ყურადღება ამ საქმეს და ამა თუ იმ ფორმით დაიწყეს ეპიდემიასთან ბრძოლა. ერობები აღგენდა საეპიდემიო რაზმებს და ავზაენიდა სოფლად. მაგრამ რაც უნდა კარგად მოეწყოს დროებითი ეპიდემიური რაზმები, ისინი დიდ ნაყოფს ვერ გამოიღებენ.

ცნობილია, რომ ნაყოფიერი ბრძოლა ეპიდემიასთან შეუძლია მხოლოდ მუდმივ სანიტარულ და სამკურნალო ორგანიზაციებს. სადაც ასეთები არსებობენ ისინი ეპიდემიის საწინააღმდეგო ზომებს წინასწარ ლებულობენ, იქ, ასე ვსთქვათ, მტრის მოლოდინში სანიტარული პოზიციები მუდამ მზათ არი. სადაც ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ბრძოლა იწყება მის გაჩენის შემდეგ. ამ შემთხვევაში ეპიდემია თავს ესხმის ხალხს და ეპიდემიურ რაზმებს უხდება თავდაცვის წარმოება. პირველ შემთხვევაში მრკმედების ინიციატივა სანიტ. ორგანიზაციის ხელშია, მეორე შემთხვევაში ეპიდემიის ხელში. ამიტომაც არის, რომ მთელს ევროპაში ეპიდემიასთან ბრძოლა დამყარებულია მუდმივ საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციებზე. დროებითი ეპიდემიური რაზმები სდგებიან როგორც დამატებითი ორგანოები მუდმივი ორგანიზაციების გასაძლიერებლათ.

ზემონახსენებ მრასაზრებათა თანახმად ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია ჩვენმა ახალგაზრდა ერობებმა დროზე შექმნან მუდმივი სანიტარული ორგანიზაციები. საჭიროა გაშუქდეს უმთავრესი საზოგადო პრინციპები, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ერობა, საექიმო-სასანიტარო საქმის მოწყობის დროს.

როგორც ერობის ისე ქალაქის თვითმართველობებმა უნდა შექმნან ორგვარი საექიმო დაწესებულება: 1) სამკურნალო და 2) პროფილაქტიკური ანუ სასანიტარო. სამკურნალო დაწესებულებათა მიზანია უაქიმოს ავთამყოფს, და განკურნოს იგი. სანიტარია კი ისახავს მიზნათ თვით სნეულებების გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლას, პროფილაქტიკური ზომების მიღებას მოსალოდნელ სნეულებათა წინააღმდეგ.

**სამკურნალო მედიცინა.** სამკურნალო მედიცინა ყოველთვის და ყოველგან უფრო ადრე ვითარდებოდა მინამ პროფილაქტიკური. ამის მიზეზი ის არის, რომ ხალხი საექიმო დახმარებას მხოლოდ მაშინ მიმართავს, როდესაც ავთ გახდება. ამისთვის ის ხარჯსაც გაიღებს. როცა წინასწარი ზომების მისაღებათ სთხოვ მას ხარჯს, ყოყმანობს, რადგანაც მისათვის გაუგებარია პროფილაქტიკური მედიცინის მნიშვნელობა. ამის მაგალითებს იძლევა რუსეთის საერობო მედიცინის ისტორია. იქ ზოგიერთ ერობებში ხან შემოიღებდენ და ხან აუქმებდენ სანიტ. ორგანიზაციებს იმის და მიხედვით თუ როგორ იყო ხმოსნების შემადგენლობა. სამკურნალო ორგანიზაციებზე კი, ორივე შემადგენლობა ზრუნავდა. როცა ჩვენმა ერობებმა „ისპანკასთან“ ბრძოლა დაიწყო, ხალხმა ამას თანაგრძნობით შეხვდა, მაგრამ ეს სენი რომ მოსალოდნელი ყოფილიყო ევროპიდან და სანიტარიის მკოდნე პირებს საჭიროთ დაენახათ პროფილაქტიკური ზომების მიღება, მაშინ ხალხი ადვილათ არ გაიღებდა ფულს ამ მოსალოდნელ საფრთხესთან საბრძოლველათ. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ჩვენმა ერობებმა, არ გაიმეორონ სხვა ქვეყნების ერობების შეცდომები და თავიდანვე ერთნაირი ყურადღებით მოეპყრან მედიცინის ორივე დარგს—სამკურნალოს, და პროფილაქტიკურს.

უმთავრესი პრინციპები საერობო (ე.ი. საზოგადოებრივი) მედიცინისა შეიძლება გამოვხატოთ შემდეგ სამ დებულებაში:

- 1) საექიმო დახმარება უნდა იყოს უსასყიდლო.
- 2) იგი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და ამავე დროს.
- 3) ის უნდა იყოს ნამდვილი, ე. ი. უნდა აკმაყოფილებდეს საექიმო მეცნიერების მოთხოვნილებებს.

თუ ეს სამი უმთავრესი პრინციპი არ იქნა დაცული, მაშინ საზოგადოებრივ მედიცინაზე ლაპარაკი შეუძლებელია. რუსეთის საერობო მედიცინის ამ პრინციპებმა მიიპყრეს მთელი ევროპის ყურადღება, ამ პრინციპების გამო აღიარეს ის საზოგადოებრივი მედიცინის საუკეთესო ტიპათ. პირველი პრინციპი აღიარებს საექიმო დახმარების განსაზოგადოებრივ-

ბას, თუ შეიძლება ასე ითქვას, მასზე კერძო საკუთრების მოსპობას. ექიმები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალურათ ერობის მიერ და ამიტომ მოქალაქეებიდან გონორარს არ ღებულობენ. ამით ძირშივე ისპობა ის სამარცხვინო მოვლენა, რომელსაც ქალაქებში და ზოგან სოფლებშიაც აქვს ადგილი. ექიმთა შორის კონკურენცია ისეთ ხასიათს ღებულობს, როგორც ვაჭართა შორის. ჩვენმა ერობამ თავიდანვე უნდა დაიცვას უსასყიდლობის პრინციპი. სამწუხაროთ ზოგიერთ ადგილებში ფურმე ავათმყოფებს ახლევინებენ განსაზღვრულ გონორარს, რასაც ალაგი არ უნდა ქონდეს.

მეორე პრინციპი ადვილი გასაგებია და განმარტებას არ საჭიროებს: მაგ. თუ ქსენონი ასი ვერსით იქნება დაშორებული ავათმყოფისგან, ის ექიმის დახმარებით ვერ ისარგებლებს.

მესამე პრინციპის წამოყენება იმით იყო გამოწვეული, რომ ზოგიერთი ერობები სიიაფის გამო ფერშლებს იწვევენ ექიმების მაგიერათ და ზოგიერთმა გომეოპათიაც შემოიღეს.

განვიხილოთ თუ როგორ მოვაწყოთ საექიმო დახმარების საქმე ტენიკურათ, რა სისტემა მივიღოთ.

არსებობს სამგვარი სისტემა ერობაში საექიმო დახმარების აღმოჩენისა. ერთი არის მიმოსვლის სისტემა, მეორე სტაციონალური და მესამე შერეული. რუსეთის ერობებში დასაწყისში მიმოსვლის და ზოგან შერეული სისტემები იყო შემოღებული, მაგრამ შემდეგ ისინი დაგმეს როგორც უვარგისნი და შემოიღეს სტაციონალური სისტემა.

მიმოსვლის სისტემა მდგომარეობს იმაში, რომ უბნის ექიმი დადის ერთი სოფლიდან მეორეში. ავათმყოფების მისაღებათ. ავათმყოფები განსაზღვრულ დროს იკრიბებიან დანიშნულ პუნქტზე და უცდიან ექიმის მოსვლას. თუ უბანში ათი ასეთი პუნქტია, მაშინ იგი ათ დღეში ერთხელ ესტუმრება თითოეულ პუნქტს. ადვილი წარმოსადგენია თუ რა ცუდ პირობებში მიმდინარეობს ასეთი მოხეტიალე ექიმის მოღვაწეობა. ის იძულებულია მიიღოს ავათმყოფები ისეთ შენობებში, რომლებიც სრულიათ არ არი მოწყობილნი ამ მიზნისათვის; მას არ შეუძლია თან ატაროს ყველა საჭირო ინსტრუმენტებიც, რომლებიც ავათმყოფის გასაშინჯავათაა საჭირო და სხ. რაც უმთავრესია ის არასოდეს არ იმყოფება სოფლის ქსენონში.

სტაციონალური სისტემა მდგომარეობს იმაში, რომ ექიმი ავათმყოფებს ღებულობს ყოველთვის ერთ ადგილას ქსენონში, რომელიც სპეციალურათ ამ მიზნისათვის არის აშენებული. ავათმყოფებთან ბინაზე სიარული, ექიმს ევალება მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში; მაგ. ვინმემ თავი მოიწამლა, ან დაიჭრა, და სხვ. ეს შემთხვევები ჩამოთვლილი უნდა იყოს ინსტრუქციაში, რომელიც ქსენონში იქნება გამოკიდებული.

შერეული სისტემა მდგომარეობს ორივე ნახსენები სისტემების შერეობაში: ექიმი განსაზღვრულ დღეებში ღებულობს ქსენონში და განსაზღვრულ დღეებში სოფლებში.

როგორც ზევით ვსთქვით მიმოსვლის და შერეული სისტემები დაგმეს რუსეთის ერობებმა. ეს მოკლე განხილვაც ამ საკითხისა ცხადს ყოფს ნახსენები სისტემების უვარგისობას ჩვენში. ჩვენ უნდა მივიღოთ სტაციონალური სისტემა საექიმო დახმარების აღმოჩენისა.

მიმოსვლა ანუ მოხეტიალე ექიმების სისტემა ბევრმა ჩვენმა ერობებმა სცადეს გასული „ისპანკის“ ეპიდემიის დროს, ამას მხოლოდ მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხმა დაინახა, რომ ერობებმა მათ უფასო ექიმები გაუგზავნეს; თითო ფერშლის მოწვევა 500 მანათი ჯდებოდა და ამ დროს მოულოდნელათ უფასო საექიმო დახმარება! მაგრამ რეალური სარგებლობა ასეთი ჩამოვლების თვით სნეულებათვის ფრიად მცირე მნიშვნელოვანია. მათი წამოსვლის შემდეგ სხვა და სხვა ჯურის ექიმები, ფერშლები და მარჩიელები განაგრძობდნენ გაკვირებული ხალხის ყვლივა-მოტყუებას.

იბადება საკითხი, ამბულატორიასთან, სადაც ექიმი ლებულობს ავათმყოფებს განსახლვრულ საათებში, უნდა იყოს თუ არა მუდმივი საწოლები მძიმე ავათმყოფებისათვის? ამ კითხვაზედ შეუძლებელია ორი სხვა და სხვა გვარი პასუხი. რასაკვირველია ამბულატორიასთან უნდა იყოს მოწყობილი რამოდენიმე საწოლი მძიმე ავათმყოფათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში საექიმო უბნის მოღვაწეობა ყოველივე ღირებულებას დაკარგავს ხალხის თვალში. მაგ. ექიმთან ამბულატორიაში მიყავთ სახადით ან ფილტვების ანთებით ავათმყოფი, რომელსაც სახლში არ ყავს მომვლელი და რომ ყავდეს კიდევ საჭიროა ყოველ დღე ექიმმა გასინჯოს ასეთი ავათმყოფი. ასეთი შემთხვევებისათვის უნდა იყოს ამბულატორიასთან რამოდენიმე საწოლი. რამოდენიმე საწოლი უნდა იქმნეს სპეციალურათ გადაბდეები სენიანებისათვის, რათა დროზე მოახდინონ მათი იზოლიაცია. ერთი ოთახი უნდა იქნეს მშობიარე ქალებისათვის. ამნაირათ მოწყობილი სასოფლო საავათმყოფო ყოველგვარ და დიდ დახმარებას აღმოუჩენს ავათმყოფებს ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთ ქსენომებში უფრო სიხალისით წავლენ ძველი გამოცდილი ექიმებიც, ამბულატორიაში კი ნაკლები იქნებიან.

საწოლების რაოდენობას ანგარიშობენ ერთს ლოგინს ათას სულზე. მოსკოვის გუბ. მიღებული იყო 750 კაცზედ ერთი.

მაზრა დაიყოფა რამოდენიმე საექიმო უბნებათ. უბნების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ ერთეულს მივიღებთ საექიმო უბნათ. ამის შესახებაც არსებობს მდიდარი ლიტერატურა. ერთი საზომი ყველა მაზრებისთვის შეუძლებელია: ზოგან მთებია, ზოგან ბარი და სხვა. უბნების გამოჭრის დროს მაზრის ტოპოგრაფიას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. აშიტომ ჩვენ აქ შევხებიბთ მხოლოდ სივრცეს და მცხოვრებთა რაოდენობას.

საშუალოთ მისაღებია, რომ ერთი საექიმო უბნის სივრცე არ აღემატებოდეს 350 ოთხკუთხ ვერსტს (რადიუსი ათ ვერსტზედ ცოცა მეტია)

და მცხოვრებთა რიცხვი 15.000. ეს ციფრები იქნა მიღებული იმ სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც ამუშავებდა საერობო მედიცინის საკითხებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიკო-სასანიტარო განყოფილების დაეალებით. მაგრამ ზოგს მაზრაში შკიდროთაა დასახლებული ხალხი, ზოგში სუსტათ. ამიტომ უნდა ავიღოთ შუათანა რიცხვი. თუ მაზრის სივრცეს, გაყოფილს 350-ზედ აღვნიშნავთ ასო „ა“, მაზრის მცხოვრებთა რიცხვს, გაყოფილს 15.000 — „ბ“, ა+ბ და გავყოფთ ორზე, მაშინ მივიღებთ უზნის რაოდენობას მაზრაში. თუ ამ რაოდენობას აღვნიშნავთ ასო „x“ მაშინ ეს ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:  $x = \frac{a+b}{2}$  თუ ა უდრის ბ-ს მაშინ საუკეთესო პირობებია ერთნაირი უზნების გამოსაჭრელათ მთელს მაზრაში მაგალითად, ასეთია ზუგდიდის მაზრა, სადაც  $a=7$  (104.141 : 15.000) და  $b=7$  (2.478 : 350) ე. ი.  $\frac{a+b}{2} = \frac{7+7}{2} = 7$ . იმ შემთხვევაში კი, როდესაც ა და ბ განსხვავდებიან ერთი მეორისგან უზნების რაოდენობის გამოსაანგარიშებლათ უმაჯრესი ყურადღება უნდა მიექცეს ბ-ს, ე. ი. სივრცეს. მაგალითად თიონეთის მაზრაში  $a=3:3$  (49.350 : 15.000) და  $b=12,1$  (4.250 : 350). აქ რომ მცხოვრებთა რიცხვით ვისარგებლოთ მაშინ სამი საექიმო უბანი უნდა გავხსნათ, რაც სრულიად ვერ დააკმაყოფილებს მაზრას, იმიტომ, რომ თითო ექიმზე მოდის 1.416 ოთხკუთხი ვერსტი სივრცე. რასაკვირველია, ასეთი სიშორიდან ვერც ავათმყოფები მოვლენ ექიმთან და ვერც ეს უკანასკნელი წავა მათთან. ამიტომ უნდა ავიღოთ არა ნაკლებ  $\frac{3,3 : 12,1}{2} = 8$  (დაახლ.) იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ა აღემატება ბ-ს უზნების რაოდენობა უნდა გამოვიანგარიშოთ ბ-ს მიხედვით და არა ა-ს. ხოლო თუ თითო უბანზე ბევრათ მეტი მცხოვრებლები მოდის მინამ ჩვენი ნორმაა, მაშინ უნდა გავადიდოთ საექიმო პერსონალის რიცხვი: ისევ მაგალითს მივმართოთ. ქუთაისის მაზრაში  $a=15,6$  (233.818 : 15.000),  $b=5,8$  (2.042 : 350).  $\frac{15,6+5,8}{2} = 11$ . ავიღოთ თერთმეტის მაგიერათ რვა, რათა ძლიერ არ დავზორდეთ ბ-ს. ამ შემთხვევაში თითო უბანზე მოუწევს 255 ოთხკუთხი ვერსტი და 29.227 სული მცხოვრები, ე. ი. ჩვენს ნორმაზედ ორჯერ მეტი. ამიტომ აქ ექიმის და მისი თანაშემწეთა რიცხვი უნდა გადიდდეს. უნდა გადიდდეს აგრეთვე საწოლების რიცხვიც.

ამნაირათ, როცა მაზრა მკიდროთაა დასახლებული ვადიდებთ არა ქსენონების რიცხვს, არამედ ქსენონებში მომუშავე პერსონალის რიცხვს, ასეთ სისტემას ის უპირატესობა აქვს, სხვათა შორის, რომ ქსენონის მეორე ექიმთა სპეციალისტის მოწვევა შეიძლება. რადგანაც ქუთაისის მაზრისთვის რვა ორ კომპლექტიანი ქსენონი ვიანგარიშეთ, შეგვიძლია მეორე ექიმებთ

\*) ეს ფორმულა ნასესხებია ექიმი ლეხნერის ჯერ გამოტყვევებული შრომიდან.

რვა სხვა და სხვა სპეციალობის მცოდნე ექიმი მოვიწვიოთ. ერთ ქსენონში იქნება გინეოლოგი, მეორეში აკუშორი, მესამეში ოკულისტი, მეოთხეში კბილის ექიმი, მეხუთეში დოსტაქრი და სხვა. რასაკვირველია, ამ სპეციალისტებთან ავათმყოფები მოვლენ მთელი მაზრიდან.

**ნორმალურ საექიმო უბანში უნდა იყვენ ერთი ექიმი და სამი მისი; თანაშემწე; თანაშემწეთა შორის ერთი ბებია ქალი უნდა იყოს.**

საავათმყოფოსათვის ირჩევენ საექიმო უბნის შუაგულ ადგილს, რომელიც იმავე დროს უნდა იყოს კულტურული და ეკონომიური ცენტრი. უბნისთვის.

საავათმყოფოსთვის საჭიროა სპეციალური შენობა. ენლა რაც შეიძლება ადრე უნდა შექმნას ერობამ სპეციალური შენობები საავათმყოფოებისათვის.

საერობო საექიმო უბანი და მისი პერსონალი არის ქვაკუთხედი, ბაზა მთელი საერობო მედიცინისა, როგორც სამკურნალოსი ისე პროფილაქტიკურისაც. საავათმყოფო უნდა იყოს არამც თუ სამკურნალო დაწესებულება, არამედ ის უნდა იყოს აგრეთვე ნამდვილი კულტურული ცენტრი, საიდანაც საექიმო მეცნიერება შეიჭრება ხალხში სიბნელის დასათურგანავათ და ცოდნის და სინათლის განსამტკიცებლათ. მთელი ჩვენი ქვეყანა მარჩიელეების და სხვა და სხვა ჯურის ექიმბაშების ხელშია. საერობო მედიცინას მოუხდება მასთან ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა. ექიმი უნდა დაუკავშირდეს ხალხს; მასთან უნდა იყოს კირში და ლხინში. უნდა ლებულობდეს აქტიურ მონაწილეობას კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. და თუ ექიმი ასე შევისისხლობრცება ხალხს, ის ადვილათ, შესძლებს სრულებით გაანახორციელოს თავისი მეცნიერული ღირებულება.

მაშ ასე: 1) მაზრა იყოფა საექიმო უბნებათ იმ ანგარიშით, რომ თითო უბნის სივრცე არ აღემატებოდეს 350 ოთხკუთხ ვერსტს და მცხოვრებთა რიცხვი 15.000, 2) თითოეულ საექიმო უბანში იხსნება საავათმყოფო, სადაც სწარმოვებს ავათმყოფების გაშინჯვა და მათი სტაციონარული ექიმობა; 3) უბნის საავათმყოფოს ერთი ექიმი, რომელსაც ყავს არა ნაკლებ სამი თანაშემწისა, რომელთაგან ერთმა ბებია უნდა იცოდეს; 4) საავათმყოფოში მიღება უფასოა.

გადავიდეთ ეხლა სანიტარიზმზე.

**სანიტარული განყოფილება.** ქველი შთავრობის ხელში სამკურნალო მედიცინას ასე თუ ისე ყურადღება ქონდა მიქცეული. მაგალითად: ყველა მაზრაში გახსნილი იყო ორ-ორი სასოფლო საავათმყოფო და ორი საფეროშლო პუნქტი. მაგრამ სანიტარიის მხრით თითქმის არაფერი კეთდებოდა. ეს მდგომარეობა გრძელდება დღემდის. მხოლოდ ეხლა იწყებენ ერობები ამ საკითხზედ ზრუნვას.

სანიტარის მნიშვნელობა და საჭიროება ჩვენი ქვეყნისათვის განუაზმეულია. ჩვენი ქვეყანა გადაქცეულია მუდმივ ბუდეთ ეპიდემიური სნეულება

თათვის. უდიდესი მტერი ამ სნეულებათა შორის არის მალარია. სხვა სნეულქბანიც რომ არ ჩნდებოდეს ჩვენში მარტო მალარიასთან საბრძოლველათ უნდა შეეჭმნათ შტკიცე სანიტარული ორგანიზაცია. მაგრამ სამწუხაროთ სხვა ეპიდემიებიც ბევრია ჩვენში. ხოლერა, ტიფი, ყვავილი, ტუბერკულიოზი, დიზენტერია, სიფილისი და სხვანი მოდებული არიან მთელ საქართველოში.

სავათმყოფოებით და კარგი რეცეპტების წერით ამ სნეულებებს ვერ მოვსპობთ. საჭიროა ბრძოლა ვაწარმოოთ თვით გამომწვევ მიზეზებთან. თუ ქაობებს არ ამოავსებთ და კოლო-ანოფელებს არ მოვსპობთ მალარია კვლავინდებურათ იმძინარებს. თუ მუშებს იგიენურ საცხოვრებელ და სამუშაო პირობებში არ ჩავაყენებთ ტუბერკულიოზი მათ არ მოშორდება. აი, სწორეთ ამ საერთო მიზეზებისაკენ უნდა იქმნეს მიქცეული საერობო სანიტარის ყურადღება.

მოვიყვან ზოგიერთ ციფრებს ჩვენი სანიტარულის მხრით უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. 1913 წ. ოფიციალური ანგარიშით ავად გახდენ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში:

|                  |         |       |
|------------------|---------|-------|
| 1) ტუბერკულიოზით | 10.849  | სული. |
| 2) ყვავილით      | 401     | "     |
| 3) მუცლის ტიფი   | 4940    | და    |
| 4) მალარიით      | 111.420 | "     |

ფრიად დამაფიქრებელი არი ეს საშინელი ციფრები. 1913 წლიდან ეს ციფრები დლითი დღე მატულობს ზემონახსენები საზოგადო მიზეზების გამო.

**სანიტარული ორგანიზაცია ახორციელებს თავის მოვალეობას სანიტარული ექიმის, უბნის ექიმების და სანიტარული მზარუნველების შემწეობით.** უბნის ექიმები უკვე ყავთ ერობებს, ზოგს მეტი და ზოგს ნაკლები. სანიტარული ინსტიტუტის მოწყობაც ადვილი საქმეა; ის არ თხოულობს არც სპეციალურ მომზადებას და არც ხარჯებს. უმთავრესია სანიტარული ექიმი. ამ ინსტიტუტის შემოღებას დიდი დადებითი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის გაჯანსაღებისათვის. სანიტარული ექიმი უნდა იყოს სული, ტვინი მთელი მაზრის საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციის. ეს თანამდებობა თხოულობს სპეციალურ მომზადებას.

რუსეთის მოწინავე ერობებმა მხოლოდ თავისი ოცი წლის არსებობის შემდეგ შემოიღეს სამაზრო სასანიტარო ექიმების ინსტიტუტი. პირველათ მოსკოვის ერობამ შემოიღო 1885 წელს. სხვა და სხვა ერობებში ერთნაირათ არ ესმოდათ სანიტ. ექიმებს თავისი მოღვაწეობის შინაარსი. არ არსებობდა საერთო პროგრამა, გამოცდილება. სანიტარული ექიმები, როგორც სპეციალისტები, ამ ბოლო ხანების კუთვნილებათ. პირველათ სანიტ. ექიმებს სპეციალური მომზადება არ ქონდათ; შეცდომებით და თვით განვითარებით ქმნიდენ ისინი საერებო სანიტარიას. ამ საკითხის ცნობილმა მკვლევ-



ვარშა ექიმმა ებანკოვმა შეადარა ერთი მეორეს ყველა ერობების სანიტარული ექიმების სამოქმედო პროგრამები და ინსტრუქციები და მიიღო შემდეგი საზოგადო პროგრამა სამაზრო სასანიტარო ექიმის მოღვაწეობისა:

1) სანიტარულ ექიმს ლებულობს და ითხოვს სამსახურიდან სამაზრო ერობის გამგეობა. სანიტარული ექიმი თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს იმ პროგრამებით და ინსტრუქციებით, რომლებიც შემუშავებული არიან სამაზრო კოლეგიალური ორგანოების მიერ; თავის მოქმედების შესახებ ის უდგენს წლიურ ანგარიშს სამაზრო სასანიტარო საბჭოს, ერობის ყრილობაზედ წარსადგენათ.

2) სანიტარული ექიმი არის კონსულტანტი სამაზრო ერობის გამგეობის და აუცილებელი წევრი სამაზრო სასანიტარო საბჭოსი, მოხსენებას უკეთებს მას თავისი მოქმედების შესახებ, ადგენს ანგარიშს საბჭოს მოქმედების შესახებ და ყოველგვარ მოხსენებებს საექიმო-სასანიტარო საქმის შესახებ სამაზრო ერობის ყრილობას, ურდგენს მას წლიურ ანგარიშს საექიმო უბნების მოქმედებობის შესახებ და მოხსენებას უკეთებს მას საერობო მედიცინის გაუმჯობესობის შესახებ.

3) მას ევალება გეგმების შედგენა საავათმყოფოებისათვის, სკოლებისათვის და სხვა შენობებისათვის, რომლებსაც ერობა აშენებს და ამ გეგმებს უდგენს სამაზრო სასანიტარო საბჭოს. მან უნდა ინახულოს აგრეთვე ის ადგილები სადაც საავათმყოფოებს, სკოლებს და სხვა შენობებს აშენებენ და თავისი დასკვნანი უნდა წარუდგინოს საბჭოს.

4) სანიტარულმა ექიმმა უნდა დაათვალიეროს არსებული სკოლები, თავშესაფარები და სხვა და შეადგინოს მათი აღწერა.

5) მან უნდა გამოიკვლიოს სანიტარულის მხრით და აღწეროს ისეთი ადგილები, სადაც გავრცელებულია რაიმე სენი და სიკვდილიანობის დიდი % და უნდა შეადგინოს გეგმა ასეთი ადგილების გაჯანსაღებისა. როცა ეს გეგმა იქნება დამტკიცებული მან უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა მის განხორციელებაში.

6) ზრუნავს მოაწყოს წმიდა წყლის მიწოდება მაზრისათვის.

7) ამუშავებს სტატისტიკურ მასალას.

8) თვალყურს ადევნებს ეპიდემიის გამოჩენას საუბნო ექიმების მიერ გამოგზავნილი სარეგისტრაციო ბარათების შემწეობით, ატყობინებს ამის შესახებ მეზობელ ერობებს და ეპიდემიური და საუბნო პერსონალის შემწეობით აწარმოებს ბრძოლას ეპიდემიასთან.

9) თვალყურს ადევნებს რათა სასანიტარო სავალდებულო დადგენილებანი სისრულეში მოდიოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში აყენებს აკტებს და ურდგენს გამგეობას.

10) ის აწყობს სანიტარულ ზედამხედველობას ისეთ ადგილებზედ, სადაც ხალხის შეჯგუფება ხდება—შრომის ბიძუა, ბაზარი, იარმარკა და სხვა.

1-1) ხალხის გასათვითცნობიერებლათ და სანიტარიაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის აწყობს საუბნო სასანიტარო საბჭოებს, შემოიღებს სანიტარული მზრუნველობის ინსტიტუტს და ავრცელებს ხალხში გიგიენურ ცოდნას. (О дѣятельности санитар. бюро и общественно-санитарныхъ учреждений въ Земской Россіи. Д. Н. Жбанковъ. Москва. 1910 г.)

ეს ამონაწერი მოვიყვანე იმიტომ, რომ ჩვენში შეიძლება ერთნაირად არ გაიგონ თავისი მოვალეობა სანიტარულმა ექიმებმა და რადგანაც ესლა პროვინციაში ლიტერატურის გადათვალეირება ძნელია ამ პროგრამით გაითვალისწინებენ რუსეთის კოლეგების მოღვაწეობას. რასაკვირველია ამ გზით შეუძლებელია სანიტარული ექიმების მოღვაწეობაში ერთგვარობის შეტანა. ეს რომ მოხდეს ამისათვის საჭიროა სანიტარული ექიმების მოქმედება ზოგიერთ ნაწილებში დაუქვემდებაროთ, რომელიმე ცენტრს. ასეთი ნაწილებია: სტატისტიკა, რომლის შესაკრებათ აუცილებელათ ერთნაირი ფორმა უნდა იქნეს მთელს რესპუბლიკაში; საერთო ხასიათის ინსტრუქციები, მალერიასთან, ტუბერკულოზთან და სხვა ქენებთან ბრძოლა. ის ცენტრი, რომლის საჭიროებაზედაც მოგახსენებთ უკვე შეიქმნა, როგორც ერობების მუდმივი ბიურო. ამ ბიუროსთან უნდა დაარსდეს სამედიკო-სასანიტარო განყოფილება, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ყველა სამაზრო სასანიტარო ექიმებს ამავე განყოფილებამ დაუყონებლივ უნდა მოიწვიოს უკვე არსებული სანიტარული ექიმების ყრილობა საერთო ხაზის შესამუშავებლათ.

ექიმი ნ. რუხაძე.

## საშკოლო აღმზენებლობა.

(დასასრული).

ყველა ზევით აღნიშნული საშუალება ნავარაუდევია იმ ანგარიშით რომ ოთახის ჰაერი სუფთაედებოდეს მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში ესე იგი, მხოლოდ გაკვეთილის დროს. ამის შემდეგ კი ჰაერი უნდა გასუფთავდეს ფანჯრების და კარების გაღებით ისე, რომ ოთახის ჰაერი თვითელი გაკვეთილის შემდეგ იწმინდებოდეს.

საკლასო ოთახის ჰაერის გასუფთავების ფანჯრების და კარების გაღების საშვალებით დიდ მნიშვნელობას აძლევენ და ამიტომ ცდილობენ რაც შეიძლება გაკვეთილები შეამოკლონ და გაამრავლონ მათი რიცხვი. ამ საშუალებით ოთახის ჰაერის გასუფთავება უნდა ხდებოდეს ხშირათ.

ფანჯრების და კარების დაღება უთუთოთ უნდა ითვლებოდეს სავალდებულოთ ყოველი დასვენების დროს. ამის შესახებ ბევრ ევროპის ქალაქებში სავალდებულო დადგენილებებიც კი არსებობენ და ჰაერის გასუფთა-

ვება წესიერ პირობებშია ჩაყენებული მიუხედავად იმისა, რომ ამ წესით აღვილია საკლასო ოთახის ჰაერის გასუფთავება და ყოველთვის შესაძლებელია ოთახში მუდამ იწმინდებოდეს ჰაერი, მიუხედავად ამისა, ასეთ წესს მოწინააღმდეგენიც ბლომათა ჰყავს. ამის საწინააღმდეგოთ ამბობენ ხოლმე, რომ ფანჯრების და კარების გაღება ბევრ სითბოს აქარგვინებს მოსწავლეთა სხეულს, შეუძლებელია ჰაერის ცვლის ანგარიშით წარმოება; ოთახის სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა ტემპერატურის ჰაერის ფენები ცუდად იმოქმედებენ მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე და სხვა...

საკლასო ოთახის ჰაერის გასუფთავების შესახებ მრავალი სხვა და სხვა აზრი არსებობს და რომელი უნდა იქნეს მიღებული ამის თქმა, ძნელია. მხოლოდ შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ საშკოლო შენობის აგების დროს შესაფერი ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხს და რაც შეიძლება ხშირად უნდა იწმინდებოდეს საკლასო ოთახის ჰაერი.

საშკოლო აღმშენებლობაში შკოლის შენობის გათბობას ხშირად არ ექცევიან იმ ყურადღებით, როგორც მას ეკუთვნის. თითქმის ყველგან შკოლების გასათბობათ მოძრავ თუჯის ლუმელებს ხმარობენ. ასეთ ლუმელებს ხანდისხან შეიწინებენ აგურით გამოაშენებენ ხოლმე, მაგრამ ასეთი ლუმელები მაინც ვერ ჩაითვლებიან მიზანშეწონილათ. ისეთ შკოლებში, სადაც ოთახებს ათბობენ ასეთი მოძრავი თუჯის ფეჩების შემწეობით, ჰაერს განსაკუთრებული სპეციფიური სუნი აქვს და მუდამ მშრალია. სიმშრალის თავიდან ასაცილებლათ ასეთ ფეჩებზე ხშირად დგამენ წყლით სავსე ჭურჭელს. მუდმივი ფეჩები იშვიათათ ხვდება კაცს ევროპის შკოლებში. მოძრავი ფეჩები კი გარდა იმისა, რომ გიგიენურ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებენ, ეკონომიის მხრივაც ვერ ჩაითვლებიან მიზანშეწონილათ. ქალაქების ახალი შკოლების გასათბობათ ამ ბოლო დროს ხმარობენ უფრო გაუმჯობესებულ სისტემას ან მხოლოდ გახურებული ჰაერის საშვალებით და ან ასეთი ჰაერის და ზრთქლის ერთად ხმარებით. საერთოდ ტენიკის განვითარებამ მოსახერხებელი გახადა საშკოლო შენობის ისე მოწყობა, რომ იქ სითბო და სუფთა ჰაერი მუდამ საკმაოდ მოიპოვება ყოველ შემთხვევაში.

გათბობაზე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს შკოლის შენობისათვის ფეხისალაგებს ანუ ხარულებს. თითქმის ყველა სოფლის შკოლებს და მრავალ ქალაქის შკოლებსაც ფეხის ალაგები აქვთ მოწყობილი შკოლის გარეშე, ცალკე შენობაში, შკოლის ეზოს ცალკე კუნძულში. შვეციის საუკეთესო შკოლებში ფეხისალაგს შკოლის შენობაშივე ვერ შეხვდება კაცი. ჩვეულებრივად ფეხის ალაგები არ ზებებიან, ხოლო იშვიათათ მათაც ათბობენ. ფეხის ალაგების ცალკე შკოლის გარეშე მოწყობის საფუძვლათ იმ მრსაზრებას უდებენ, რომ შენობაში მოწყობილი ფეხისალაგები დიდ გავლენას ახდენენ შკოლის ჰაერზე და ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს შკოლისათვის. ევროპის დიდ ქალაქებში თუმც ყველგან არის საუცხოვოთ მოწყობილი არხები სიბინძურის ქალაქ გარეთ გასატანათ, მაგრამ შკოლის შენო-

ბაში ზარულების მოწყობას მაინც ძლიერ ერიდებიან. როგორც უნდა იყოს შკოლის ფეხისალაგი, აუცილებლათ საჭიროა მისი სასტიკი სისუფთავის დაცვა. შკოლის მართვა—გამგეობის საქმეში ერთ უმთავრეს საგანს ყოველთვის უნდა შეადგენდეს ფეხისალაგების სუფთათ შენახვა. გზსაკუთრებულნი ყურადღების ღირსია საშარდების მოწყობა შკოლის ფეხისალაგებში. ჩვეულებრივ ასეთ საშარდებს აკეთებენ ფაიფურის ანუ თიხის მასალისაგან. ასეთი საშარდები ისეა მოწყობილი, რომ მუდამ წყალი ფარავს მის ზედა პირს და, მამასადამე, ის სრულიათ თავისუფალია შარდის ზედ დადგომისაგან. თიხის ტასტს ზედა პირზე არშიასავით აქვს შემოყოლებული ღარი, რომელშიაც განუწყვეტლივ მიდის წყალი; წყალი ღარის ნაპირებიდან გადადის და ტასტის შიგნითა გვერდებს მუდამ აფართოებს.

რაც შეეხება ფეხისალაგების საჯდომებს, უნდა ითქვას, რომ ასეთი სისტემა ამ ბოლო დროს სრულიათ გამოდის ხმარებიდან. ფეხისალაგებში საჯდომების მოწყობა ხელს უწყობს გადამდები სენის გავრცელებას. გარდა ამისა თვით კუჭის დაცლის პროცესშიაც ცუდათ მოქმედობს ადამიანის ორგანიზმზე. მართლაც, როდესაც ადამიანი დამჯდარია, მისი სხეული არა ნორმალურათ აწევბა შიგნულ ორგანოებს და ასეთ არა ნორმალურ დაწოლა კი ცუდათ მოქმედებს ამ ორგანოების წესიერათ მუშაობაზე.

ასეთი საჯდომიანი ფეხისალაგების სუფთათ შენახვაც უფრო ძნელია და ამიტომ უმჯობესია სრულიათ უარყოფილ იქმნას ასეთი სისტემის ხმარება. ცხადია, რომ შკოლის შენობაში სასმელი წყლის ჭურჭელი და პირის საბანი ადგილი სრულიათ დაშორებული უნდა იყოს ფეხისალაგებზე.

თუმც სავალდებულოთ არ არის ცნობილი შკოლის შენობაში საგიმნასტიკო დარბაზის უფულოთ მოწყობა, მაგრამ ევროპის ყველა ქვეყნებში ისეა გავრცელებული ასეთი საგიმნასტიკო დარბაზების ხმარება, რომ იშვიათათ შეხედება კაცი ცოტათ თუ ბევრად რიგიანათ მოწყობილ შევლას, რომ ისეთი დარბაზი არ ქონდეს.

საგიმნასტიკო დარბაზს ან თვით შენობაში ათავსებენ და ან, უფრო ხშირათ, ცალკე შენობაში აწყობენ. ასეთ დარბაზს სავარჯიშო ადგილს გარდა აქვს რამდენიმე ოთახი; ზოგი ტანისამოსის გასახდელათ, ზოგი სხვა და სხვა სავარჯიშო ავეჯის შესანახათ და ზოგიც საბინათ (დუში). გიმნასტიკას ამ ბოლო დროს დიდ ყურადღებას აქცევენ ევროპაში და ამით აიხსნება, რომ ხშირათ შკოლის ეზოში ორ შენობას შეხედება კაცი: ერთია შკოლის შენობა და მეორე საგიმნასტიკო.

საგიმნასტიკო შენობა ხშირათ თავის ღირებულებით ბევრად უკეთესია შკოლის შენობაზე.

ხელსაქმისათვის მოწყობილი კლასებიც დიდ ყურადღებას იქცევენ ევროპაში. იშვიათათ შეხედებით შევციაში და ნორვეგიაში ისეთ სოფლის შკოლას, რომელსაც რაიმე სახელოსნო არ ქონდეს. აქვე საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ასეთი ხელსაქმის სწავლებას იმ მიზნით კი არ აქვს დათმო-

ბილი შკოლაში, რომ მომზადებული ხელოსნები გამოუშვან ცხოვრებაში, არამედ იმ მიზნით, რომ აქ გააცნონ ბავშვები რომელიმე ხელობის პირველ დაწყებითი ცოდნას მხედველობის და მოძრაობის სავარჯიშოთ. ასეთი ვარჯიშობა მშვენიერი იარაღია ბავშვების ფიზიკური ძალ-ღონის გასავეითარებლათ. ასეთი სახელოსნოები უნდა მოეწყოს შკოლის ეზოში ცალკე შენობაში და გარდა სავარჯიშო ოთახებისა უნდა ქონდეს ბინა მასწავლებლისათვის და ავეჯის და მასალის შესანახათ. ხშირათ სახელოსნოებში თვითეულ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფებს თავის საკუთარი დახვა აქვთ გამართული საკუთარი ხელსაწყო იარაღებით.

ქალაქების მოზრდილ შკოლებში კულინარულ ხელოვნებასაც ყურადღებით ექცევიან და ამ მიზნისათვის საკუთარ საკულინარო ოთახებს აწყობენ.

ასეთი დაწესებულებისათვის საჭიროა სამზარეულო კლასი, სანოვაგის საწყობი, ჭურჭლის სარეცხი, სარდაფი და სხვა დამხმარე ოთახები. რიცხვი და სიდიდე ოთახებისა შეფარდებული უნდა იყოს მოსწავლეთა რიცხვთან. ჩვეულებრივ თვითეულ 5—6 მოსწავლეს უნდა ქონდეს მიჩნეული საკუთარი ლუმელი თავის ჭურჭლებით და საჭირო ავეჯეულებით.

ხშირათ ასეთ სამზარეულოში ბავშვები ამზადებენ საჭმელებს სახლიდან მოტანილი სანოვაგისაგან და სწავლის შემდეგ დამზადებული საჭმელები მიაქვთ თავის სახლში.

ხშირია ისეთი შემთხვევები, რომ მოსწავლეებს შკოლაში ცხელი საუზმე ეძლევათ და ასეთი შემთხვევებში საუზმეს თვით მოსწავლენი აკეთებენ. გარდა საკულინარო კლასებისა შკოლებთან ხშირათა აქვს ადგილი სასამკერვალოებსაც. ქალთა სახელსაქმობისაც და კიდევ მრავალ სხვა გვარ სავარჯიშო დაწესებულებებს. თითქმის ყოველ მოზრდილ შკოლას აქვს საბანაო აუზები და წყლით სასხურებელი ადგილები (დუშები).

თუ გადავავლებთ თვალს ყოველივე იმას, რაც ჩვენ ამ მოკლე წერილში აღვნიშნეთ, ჩვენ შევამჩნევთ, რომ ყველა ევროპის ქვეყნებში საშკოლო აღმშენებლობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული როგორც მთავრობებისაგან აგრეთვე სხვა და სხვა გვარ მეცნიერულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგანაც. იქ დარწმუნებული არიან, რომ რაციონალურათ სწავლა—აღზრდის საქმის მოწყობა მოითხოვს მიზნის შესაფერათ მოწყობილ შენობებს და საერთოთ ყოველ გვარი შკოლასთან დაკავშირებულ დაწესებულებებს.

თუ ჩვენ გვინდა, რომ გვექონდეს ისეთი შკოლა, სადაც ცხოვრებისათვის უნდა მომზადდენ საჭირო მოქალაქეები, უნდა ვსძლიოთ ყოველგვარი დაბრკოლებანი და აქედგანვე შევუდგეთ საშკოლო აღმშენებლობისათვის ზრუნვას და, რადგან ვიცით, რომ ამ ეამათ მთავრობას არ შეუძლია სათანადო ხარჯები გასწიოს ამ დიდ საქმისათვის, თვით მოქალაქეებმა უნდა მიიყონ ხელი ამ საქმეს თავის ორგანიზაციების საშვალებით.

ერობები, ქალაქები და კორპორატიული ორგანიზაციები დიდ სამსახურს გაუწევენ სწავლა-აღზრდის საქმეს ჩვენ ნორჩ რესპუბლიკაში, თუ შესაფერი ყურადღებით მოექცევიან საშკოლო აღმშენებლობის საქმეს.

ს. რობაქიძე,

## ქ რ ო ნ ი კ ა.

### ქალაქთა თვითმართველობაში.

✳ **ქალაქ გარეთ მდებარე მიწების შესახებ.** მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა ნაწილმა აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ამიერ კავკასიის კომისარიატის დადგენილება 1918 წლის 23 თებერვლისა ჯერ-ჯერობით ქალაქში რჩება ასე, რომ ყოველგვარი ხელშეკრულებანი ქალაქ გარედ მდებარე მიწებზე აღკრძალულია.

✳ **ქალაქის სესხი.** ქალაქი საბჭოს ნებართვით ქალაქის გამგეობა თბილისის ბანკებში სესხათ იღებს 1,500,000 მან. მთავრობის გარანტიით გადამდებ სენით ავთომყოფობასთან საბრძოლველათ და მოსამსახურეთა ჯამაგირების დასარიგებლათ. აქაური საკრედიტო დაწესებულებანი ამ სესხს აძლევენ ქალაქს მძიმე პირობებით: სამი თვის ვადით და 9½ პროცენტთან სარგებლის ვადახდით.

✳ **სასანიტარო გადასახადის დაწესებისთვის.** გადამდებ სენით ავთომყოფობის ეპიდემიასთან საბრძოლველათ და ქალაქის სასანიტარო მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ქალაქის თვითმართველობა აარსებს თბილისში საგანგებო სასანიტარო გადასახადს. საბჭოს საბიუჯეტო საფინანსო კომისიამ უკვე განიხილა ამ გადასახადის შეკრების წესი და ამ გადასახადის ზომის პროექტიც შეადგინა. ამ პროექტისამებრ სასანიტარო გადასახადი უნდა შეიტანონ ქალაქის კასაში ყველა მოქალაქემ ორივე სქესისა, ვისაც თვიური ჯამაგირი ანუ სხვა შემოსავალი 600 მანეთზე მეტი აქვს. გადასახადის ზომა საბიუჯეტო საფინანსო კომისიის აზრით დადგენილ უნდა იყოს 1.5 მანეთიდან 662 მან. 50 კაპ. თვეში. ამ ნორმების გამოსაკვლევათ ქალაქის გამგეობის სხდომაზე 14 მარტს მოწვეულ იყვნენ გადასახადთა ინსპექტორები. მათთან თათბირის შემდეგ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ეს გადასახადი მიაწეროს ყველა მოქალაქეს, რომელსაც თვიური შემოსავალი 600 მან.—900 აქვს—2 პროც., 900 მან.—1200 მან.—3 პროც. და ასე. ეს საკითხი ქალაქის საბჭოში იქნება შეტანილი მომავალ მორიგ კრებაზე.

✳ **გადასახადის განაწილება.** თბილისის ქალაქის გამგეობამ თითონ გაანაწილა სატრაქტირო გადასახადი სასტუმროების, რესტორანების, ბუფეტების, ყავახანების და ამ გვარ ქარხანების პატრონებთა შორის, რად-

განაც ამათ უარყვეს თავიანთ შორის ამისათვის კომისიის ამორჩევაზე. ჯერ გამგეობამ გაანიწილა მეოთხე ნაწილი იმ თანხისა, რომელიც მათ უნდა გადახადონ ამ წლის განმავლობაში, ე. ი. განაწილებულია 1.138,000 მან. და ამ ფულის ქალაქის კასაში შესატანათ გამგეობამ დაუნიშნა ვადა 25 მარტამდე. ვინც ვადაზე ამ გადასახადს არ შეიტანს ქარხანა დაეკეტება და ვაჭრობა მოესპობა.

✱ **ახალი ხარჯი.** საბჭოს საბიუჯეტო—საფინანსო კომისიამ დაადგინა ტრამვაის მოსამსახურეებს დაენიშნოთ ჯამაგირზე მე-7-დღე დამატება სულზე 250 მან. თვეში. ეს ახალი ხარჯი წელიწადში შეადგენს ოთხ მილიონზე მეტს.

✱ **კოლექტიური ხელშეკრულების განხილვა.** გამგეობამ დადგინა 15 მარტს შეუდგეს კოლექტიური ხელშეკრულების განხილვას.

✱ **თბ. ქალაქის მოსამსახურების გაფიცვა.** იმის გამო რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ქალქ. მოსამსახურეებს, ჯამაგირები არ მიუღიათ გაიფიცენ 24 მარტს. ამის შესახებ საბჭომ დაადგინა: ვინაიდან ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა ნაწილის მიერ გამოცხადებული გაფიცვა ა) სრულიათ უმიზნოა და მიმართულია დემოკრატიულ თვითმართველობის, წინააღმდეგ, რომელმაც ჯამაგირებიც მოუმატა მოსამსახურეთ და უკვე მისცა მათ განსაზღვრული დაპირებანი დარჩენილი ჯამაგირების დარიგების შესახებ, ბ) რომ ეს გაფიცვა უარყოფილია მუშათა ავტორიტეტული ორგანიზაციის პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს მიერ, როგორც ანტიდემოკრატიული, საბჭო აღდგენს: 1) მიეცეთ გაფიცულთ წინადადება—შეუდგენ თავის მოვალეობის ასრულებას არა უგვიანეს 27 მარტს დილის 9 საათისა. 2) ვინც ამ დროსათვის არ გამოცხადდება, ჩაითვალოს სამსახურიდან გასულათ თავისი სურვილით. 3) საავათმყოფოებში და ბარაკებში მომუშავენი კი თუ ამ ვადაზე არ შეუდგებიან მოვალეობის ასრულებას, მიცემულ იქნებიან პასუხს გებაში.

✱ **მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა.** თბილისში მყოფ მაჰმადიანთა. ეროვნულ საბჭომ შუამდგომლობა აღძრა, ქალაქის გამგეობის წინაშე; რადგანაც მათ ქალაქის საბჭოში წარმომადგენელი არა ყავთ მოწვეულ იქმნას კოოპტაციის წესით მათი 3 წარმომადგენელი. გამგეობამ შუამდგომლობაზე უარყოფითი პასუხი გასცა. ქალაქის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, შუამდგომლობა საბჭოს იურიდიულ კომისიას გადაეცეს განსახილველად.

✱ **ქალაქის სამოსამართლო უბნებად დაყოფა.** იუსტიციის სამინისტროში ბ. კიხირიას თავმჯდომარეობით შეიმუშავეს გეგმა თბილისის სამოსამართლო უბნებად დაყოფისა. გეგმა გადაეცა დასადასტურებლათ ქალაქის საბჭოს, რომელმაც იურიდიულ კომისიას გადასცა განმსახილველად.

✱ წყალსადენის ხარჯები. გამგეობის მოხსენებით ქალაქს წასულ წლის განმავლობაში წყალ-სადენის შეკეთება და უზნებში გაყვანა სულ 127.381 მან. დაჯდომია.

✱ ოზურგეთის თვითმართველობის ოქმებიდან. საბჭოს 15 მარტის სხდომაზე, ბლანსის მოსმენის შემდეგ, საბჭომ მუხლებრივით განიხილა ბიუჯეტი და ცოტაოდენი ცვლილების შეტანის შემდეგ მიიღო:

ქალაქის შემოსავალი: შეფასებითი გადასახადი ნედრომიკიტ—64.589 მ. ვაჭრობა-მრეწველობისაგან—30.350 მან. ქალაქის მამულებიდან 29.023 მ. ქალაქის მუნიციპალური დაწესებულებებისაგან 472.000 მან., დახმარება და ხარჯების ანაზღაურება—228.430 მან., სხვა და სხვა ჯარიმები—4.300 მ. სულ კი შემოსავალი უძრავის 828.792 მან.

გასავალი: ქალაქის თვითმართველობის შენახვა—137.600 მან., მილიციის შენახვა 75.840 მან., ცეცხლის მქრობელი რაზმის შენახვა (იარაღების შეძენა) 5000 მან., ქალაქის კეთილმოწყობილება—(ქუჩების შეკეთება, ხიდების გაკეთება, ჭაობის გაშრობა და სხ.) 137.340 მანეთი, ქალაქის მუნიციპალურ დაწესებულებათა შენახვა 224.800 მანეთი, სახალხო განათლება—143.492 მანეთი, საექიმო, საბეთალო და სანიტარული განყოფილება—21.500 მანეთი, ქალაქის მამულებზე შეწერილი სახელმწიფო გადასახადების გადახდა—430 მან. ქალაქის მამულების შენახვა, 1120 მან., ვალების გადახდა—18.130 მან., სხვა და სხვა ხარჯები—63.540 მან., სულ გასავალი—828.792 მანეთი.

✱ ჭიათურა. ჭიათურის ქალაქის თვითმართველობის 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა გამოიხატება—86.812 მ. და 49 კ. შემოსავალი შემდეგია:

|  |          |
|--|----------|
| ნატარიალური გადასახადების შემოსავალი         | 5379—48  |
| პატენტებზე                                   | 107—55   |
| ჯარიმები                                     | 1267—00  |
| მობილიზაციის                                 | 15456—20 |
| 42 კ. საფუთო                                 | 8875—75  |
| ხაზინის პოსტობი                              | 6600—00  |
| სანიტარის                                    | 875—16   |
| ქალაქის სასურსათო კომიტეტის                  | 12586—35 |
| შპალების გაყიდვით                            | 4027—00  |
| მოულოდნელი                                   | 300—00   |
| შ. ქ. მრეწვილთა საბჭოსაგან მილიციის შესანახი | 31940—40 |

სულ 86812—49

✱ ჭიათურის ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზე ა/წ. 10 მარტს იქონია რა მსჯელობა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის წინადადების გამო მოძრავი უნივერსიტეტის დაარსების შესახებ—დაადგინა: „გადაიდოს მოძრავი უნივერსიტეტის მოწყობის საქმისა-



თვის ხუთი ათასი (5000) მანეთი და აღმოუჩინოს ლექტორებს ყოველგვარი დახმარება ბინით და სხვ.“

✱ **ზუგდიდის ქალაქის საბჭოს არჩევნები.** ზუგდიდის ქალაქის საბჭოს არჩევნები მოხდა 16 მარტს. არჩევნებში მიიღო მონაწილეობა 1.293 ამომრჩეველმა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 6—ხმოსანი; ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ—6 ხმოსანი; სოციალისტ-რევოლუციონერებმა—2 ხმოსანი; სოც.-ფედერალისტებმა გაიყვანეს 5 ხმოსანი და ზუგდიდის მოსახლეთა უპარტიოთა კავშირმა გაიყვანა ერთი ხმოსანი.

### საქართველოს ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა მეორე ყრილობა \*).

1919 წ. 16 მარტს ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიხსნა საქართველოს ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა მეორე ყრილობის სხდომა. ყრილობაზე გამოცხადდნენ შემდეგი დელეგატები: თბილისიდან—კონიევი, ჯაფარიანიშვილი, გვაზავა; ქუთაისიდან—კალანდარაშვილი; ყვირილიდან—ბუაჩიძე; თელავიდან—იმნაძე; ოზურგეთიდან—მურვანიძე; ხონიდან—ჭავჭავანიძე; ბორჯომიდან—კანდელაკი; ფოთიდან კორძაძე; სენაკიდან—ლორთქიფანიძე; ხაშურიდან—სიხარულიძე; სურამიდან—ხიდირბეგიშვილი; ოჩემშირიდან—ქორჭოლიანი; გორიდან—ჯაფარიძე ღ გოგუა; კაჯორიდან—ხოსროვეი; ლანჩხუთიდან—შარაშენიძე; სიღნაღიდან—გოცირიძე და ტყავაძე; სამტრედიიდან—მიქელაძე; დუშეთიდან—ინაშვილი; ქიათურიდან—მოდებაძე და თელავიდან—ანდრონიკაშვილი. ყრილობას დაესწრნენ აგრეთვე მთავარი კომიტეტისა და აღმასრულებელი ბიუროს წევრები.

კრება გახსნა ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიაშვილმა მისალმების სიტყვით. ყრილობამ მისასალმებელი დეპუტატი გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას და რესპუბლიკის მთავარ წარმომადგენელს ბ-ნ ნ. ნ. ჟორდანიას.

ქალაქთა კავშირის ყრილობას მიესალმნენ ერობათა კავშირის წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთ მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნეს, რომ ქალაქთა და ერობათა კავშირს დასახული აქვთ ერთნაირი მიზანი ხალხის სამსახურისა და ეს გარემოება აიძულებს მათ, რომ ქალაქთა კავშირი, როგორც უფრო გამოცდილი და მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული ორგანიზაცია იქნეს შეუწყობს და დაეხმარება ერობათა კავშირს.

ყრილობა მხურვალე ტაშის კვრით შეხვდა როგორც დამფუძნებელი კრებისა და ნ. ნ. ჟორდანიას მისასალმებელ დეპუტატს, ისე ერობათა კავშირის წარმომადგენელთა მოლოცვას.

\* ყრილობის სრული ოქმები, მოხსენებანი და ანგარიშები დაიბეჭდება შემდეგ მორიგ ნომერში.  
რედაქცია.

ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი სამი კაცისაგან. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. კალანდარაშვილი, მის ახანაგად—ბორჯომის წარმომადგენელი კანდელაკი და მდივნად—ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის წევრი—ა. პაპავა.

ყრილობის დღიური წეს-რიგის დამტკიცების შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ ყრილობას წარუდგინა მცირე მიმოხილვა მთავარი კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ 1918 წ. სექტემბრის შუა რიცხვებიდან მეორე ყრილობამდე. საერთო მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ვრცელ მოხსენებანი განყოფილებათა გამგებებისა; ახრათა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობამ ეს მოხსენებანი დაამტკიცა, ზოგიერთი მოხსენებათა გამო კი მიიღო რეზოლიუციები და გამოსთქვა სურვილები. ყრილობას მოხსენებანი წარუდგინეს შემდეგმა განყოფილებებმა: საექიმო-სასანიტარომ, სამეურნეომ, სატეხნიკომ და განათლების განყოფილებამ.

გარდა ამ მოხსენებებისა, ყრილობამ მსჯელობა იქონია სპეციალურ მოხსენებათა შესახებ, რომლებიც წაკითხულ იქნა ყრილობაზე საქალაქო დებულებასა, კოლექტიურ ხელშეკრულებასა და ქალაქთა საბიუჯეტო უფლებების შესახებ.

სიექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგის მოხსენების გამო ყრილობამ-გამოსთქვა სურვილი: 1) მიღებულ იქნას სათანადო ზომები მედიკამენტების შესაძენად და მოსატანად რაც შეიძლება მალე; 2) მედიკამენტები განაწილდეს უმთავრესად და უპირველესად ყოვლისა ქალაქთა შორის.

კომიტეტის მიერ შედგენილი პროექტი საქალაქო დებულებისა ყრილობამ მიიღო, ზოგიერთი შესწორებებითა და ცვლილებებით. დამატებათა შორის აღსანიშნავია ერთი მუხლი, რომლის ძალითაც ქალაქის თვითმართველობებს, ცენტრალური მთავრობის ნებართვით, უფლება ეძლევა რაიმე სახალხო უბედურების დროს ქალაქის მცხოვრებლებს საგანგებო გადასახადები გააწერონ.

კოლექტიური-ხელშეკრულების გამო ყრილობამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „ვინაიდან საქალაქო თვითმართველობანი არიან ორგანოები სახელმწიფოებრივი მმართველობისა და შედიან სახემწიფო დაწესებულებათა საერთო სისტემაში; სახელმწიფოებრივ ფუნქციასთან ერთად ადგილობრივი მართველობანი ანხორციელებენ წმინდა სამეურნეო მოღვაწეობასაც,—ყრილობა შესაძლებლად სცნობს კოლექტიური ხელ-შეკრულების დადებას მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. ქალ. თვითმართველობათა წარმოებითი მოღვაწეობაში.“

ყრილობაზე სხვათა შორის აღიძრა ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი საკითხი აგრარული რეფორმის გავრცელებისა ქალაქებზე. ამ საკითხის გამოსარკვევად არჩეულ იქნა საგანგებო კომისია, რომლის სხდომასაც დაესწრენ მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენლებიც. კომისიამ თავი

ვისი მოსაზრებანი წარუდგინა ყრილობას, რომელმაც მიიღო ისინი და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1) არსებული ძირითადი აგრარული კანონი გავრცელდეს ქალაქებზედაც სათანადო ცვლილებებით; 2) ეთხოვოს დამფუძნებელ კრებას დააჩქაროს სათანადო კანონ-პროექტების განხილვა, თუ ასეთი კანონ-პროექტები მიწადმოქმედების სამინისტროს წარუდგენილი აქვს დამფუძნებელ კრებაში; 3) დაკანონდეს აკრძალვა ქალაქებში მიწების ყიდვა-გაყიდვისა. განსაზღვრულ ნორმაზე ზევით; 4) ეთხოვოს ქალაქთა საბჭოებს დაამუშაონ ეს საკითხი ადგილობრივ, სათანადოთ შეისწავლონ მასალები და თავიანთი დასკვნანი წარუდგინონ ქალაქთა კავშირს, რათა მან თავისი განმარტებით გადასცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს; 5) ეთხოვოს ქალაქებს რაც შეიძლება მალე დაასრულონ შემოფარგვლა ქალაქების ახალი ტერიტორიისა.

გარდა ამისა შემოხსენებული საკითხის გამო ყრილობამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: კავშირმა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ყველა მიწები ქალაქებში და მის გარეთ, რომლებიც დღემდის ამ ქალაქების საკუთრებას შეადგენდა, ისევე მათ ხელში დარჩეს და ამის შესახებ სათანადო დამატებითი კანონი გამოიცეს.

ყრილობის დასასრულს მოხდა არჩევნები. კომიტეტის წევრებად ყრილობამ აირჩია: ნ. ზ. ელიავა, მ. ი. რუსია, ნ. ფალილევი, ბ. ჩხიკვიშვილი, კორძაია, ა. ჯაჯანაშვილი, ჯაფარიძე, მურვანიძე, ანდრონიკაშვილი, გოგუა, მდივანი, ზუხბაია, შარაშენიძე და კალანდარაშვილი; მათ კანდიდატებად — ქავკანიძე, მიქელაძე, ურატაძე და იმნაძე.

სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ: კახიანი, პაპავა, გოცირიძე, ხიღრიბეგიშვილი და კონიევი; მათ კანდიდატებად — ტყავაძე და გოგუა.

ყრილობა დამთავრდა 22 მარტს.

## ქალაქთა კავშირში.

ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა თავის პირველსავე სხდომაზე აირჩია აღმასრულებელი ბიურო. ბიუროში არჩეული იქნენ თავმჯდომარეთ ნ. ზ. ელიავა; თავმჯდომარის ამხანაგათ — მ. ი. რუსია; ბიუროს წევრებათ — მ. ი. ფალილევი, ა. რ. ჯაჯანაშვილი. მე-5-თე წევრის არჩევა რომელიც მუდმივ უნდა იყოს რესპუბლიკის ცენ. სასურ. საბჭოში, გადადებულია მთავარი კომიტეტის შემდეგი სხდომისათვის.

მთავარი კომიტეტის განყოფილებანი განაწილებულია შემდეგნაირათ: ტეხნიკურ წარმოების დაწესებულებებს განაგებს თავმჯდომ. ამხანაგი მ. ი. რუსია; სამეურნეო განყოფილების — ბიუროს წევრი ნ. ი. ფალილევი; საანგარიშო განყოფილების ბიუროს წევრი ა. რ. ჯაჯანაშვილი. ეს უკანას-

კნელი არჩეულია სამეურნეო ბიუროში და ჟურ. „კავკასიის ქალაქის“ სარედაქციო კოლეგიაში.

სხვა განყოფილების გამგებლობა და აგრეთვე საერთო განყოფილება-სთან მყოფი ჟურ. „კავკასიის ქალაქის“ რედაქცია მიენდო პრეზიდიუმს, რომელმაც უნდა გაანაწილოს ეს განყოფილებები თავის წევრებზე.

გაუქმებულია სახალხო განათლების განყოფილების კანცელარია და ამ განყოფილების საქმეები გადაეცა საერთო განყოფილების კანცელარიას.

გაუქმებულია იურიდიული და საფინანსო-საეკონომიო განყოფილება. იურიდიულ განყოფილების კანცელარია და საქმეები გადაეცა მთავარი კომიტეტის მდივანს, რომელმაც უნდა შეასრულოს ამ განყოფილების მუშაობა. საფინანსო-საეკონომიო განყოფილების გამგეს მ. ნ. სმირნოვს დაევალა სისრულეში მოყვანა იმ დადგენილებისა, რომელიც გამოიტანა მეორე ყრილობამ „ქალაქთა საბიუჯეტო უფლებ“-ის მოხსენებიდან:

❖ **თბილისში ჩამოსულ** ქალაქთა წარმომადგენ. ქალაქთა კავშირს აქვს მოწყობილი ბინა, ზუბალოვის სახელობაზე აგებულ უსახსროთა სახლში.

❖ **საეკიმო-სასანიტარო** განყოფილების მოხსენების თანახმად, შესახებ საქ. რეს. ქალაქებთან თვის საეკიმო-სასანიტარო შემწეობის აღმოჩენისა წინწკლიან ტიფთან საბრძოლველად, აღმასრულებელმა ბიურომ გადადო მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის განკარგულებაში 50.000 მან. და წინადადება მისცა სამეურნეო ბიუროს ამ ღირებულობისავე საქონელი დაუთმოს ქალაქებს ნისიათ.

### მროზათა თვითმართველობაში.

**აგრონომიული დახმარების ორგანიზაცია.** სამაზრო აგრონომ გ. ქურდიანის მოხსენებიდან. „მცხოვრებთა აგრონომიულ დახმარე ორგანიზაციამ“ შემდეგი დებულებები მიიღო:

1. არსებული ერობათა აგრონომიული ორგანიზაცია 1912 წელს დაარსებული გაუქმებული იყოს.

2. აგრონომიული საქმის გასაუმჯობესებლად ერობამ უნდა გამოსძებნოს ყოველგვარი სახსარი, ფული თუ სხვა რამე, რომელსაც კი გადასწყვეტავს სამაზრო ერობათა ყრილობა.

3. მცხოვრებლებს აგრონომიულ დახმარებას ახალი ორგანიზაციები გაუწევს.

4. ახალ ორგანიზაციის სათავეში იდგმება სამაზრო ერობათა მართველობა, რომელიც აგრონომიულ საქმეებს ორი ორგანო გაუძღვება აღმასრულებელი ორგანო (აგრონომიული განყოფილება) მრჩეველი ორგანო (ეკონომიური განყოფილება).

5. ყოველი აგრონომიული საკითხი მავალ. სასოფ. სამეურ. (წიგნების გამოცემა; საჭირო ინვენტარი, თესლი, ბრძოლა პარაზიტებთან და სხვა) უნდა მიენდოს დროებით საქართველოს ერობათა ბიუროს.

✳ **ქუთაისის სამაზრო** ერობის გამგეობის ინიციატივით შეიქმნა მუშაკთა კომისია წარუდგინა მოხსენება ქუთაისის მაზრის სამკურნალო წყლების საექსპლუატაციო ორგანიზაციების მოწყობაზე. მომხსენებლის შეკრებილ სტატისტიკური ცნობით, ქუთაისის მაზრაში სულ 17 სამკურნალო წყალია. წყლები ასეა განაწილებული: რკინის სამკურნალო წყალი მდებარეობს: ს. საირმეში, ჭიშურაში და სიმონეთში; ცივი გოგირდის წყლები: ს. კურსებში, ხრესილში, ტყიბულში, მანდიკორის საზოგადოებაში ფერსათში, ნერგეთში ცხელი მინერალური წყლების აბანოები: ს. ჩერგეთში, ჭოგნარში, უხუთში და წყალტუბოში.

✳ **საქსოვი ქარხანა.** ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ შეიძინა საქსოვი ქარხნის მოწყობილობა, რომელიც ქონდა მოქალაქე ფ. ი. შათირიშვილს. ქარხანა მოთავსებული იქნება ქარვასლის ქუჩაზე ძმ. ჩარეკოვის სახლებში, რომელიც რიონის პირას არის გაშენებული. საქსოვ ქარხნისათვის ერობის გამგეობამ უკვე შეიძინა რამოდენიმე ასეული ფუთი მატყლი. მუშაობა ამ მოკლე ხანში დაიწყება.

✳ **საცდელი მიდორი.** ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს მიიღოს ქუთაისის საცდელი მიდორი, რომელიც მდებარეობს ს. კულაში და მოაწყოს იქ საცდელი და საჩვენებელი მუშაობა.

✳ **ქუთაისის სამაზრო** ერობის შენობაში 14 მარტს შესდგა ერობის მოსამსახურე სოც. დემოკ. კრება. კრებამ დაადგინა შესტგეს სოც. დემოკ. მუდმივი ჯგუფი მოსამსახურებისა, გამოსთქვა სურვილი, რაც შეიძლება მალე მოეწყოს ერობის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი. აირჩიეს ოთხი ამხანაგი, რომლებსაც მიენდო კავშირისათვის წესდების პროექტის გამომუშავება და კრების მოწვევა.

✳ **შინაგან საქმეთა** სამინისტრო ატყობინებს ქუთ. სამაზროს ერობის გამგეობას, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა, მინ უნდა მიიღოს მაზრის სამხედრო საკრებულოები თავის ქონებით და ყოველგვარი საქმეებით.

✳ **ქუთაისის სამაზრო** ერობის გამგეობის წევრმა აშხ. შალვა სანებლიძემ და ერობის ექიმმა შ. ლეყავამ რამოდენიმე ალაგას გამართეს საზოგადო ყრილობები, სადაც ხალხს აცნობდენ ერობის მუშაობას. საერთოდ ხალხი ძლიერ კმაყოფილი რჩებოდა, როდესაც ეცნობოდენ ჩვენი ერობის მოღვაწეობას. სოფ. დვალის მუშაკებში ყრილობამ დაადგინა ამავე საზოგადოების არსებული აფთიაქი თავის შენობით გადაეცეს ერობას უსასყიდლოთ. ამასთან ერთად ყრილობამ აღუთქვა ერობას ფულათ 20,000 მანეთით ერთდროული დახმარება, რის შესაკრებათ არჩეულ იქმნა კომისია. სოფ. ამაღლებაში გამართულ ყრილობამაც ერთხმად დაადგინა: ერობას ერთდროული დახმარება აღმოუჩინონ 20,000 მანეთით. ერობის წარმომადგენლებთან გამოუცხადდენ, ძულუხის და უხუთის წარმომადგენლები, რომლებმაც აღუთქვეს ერობის წარმომადგენლებს ყოველგვარი დახმარება.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ერობის წარმომადგენელთა მოგზა-

ურობამ ხალხში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ალსანიშნავია ის გარემოება, რომ ხალხი დიდი ყურადღებით ექცევა საექიმო პუნქტების დაარსებას და ამ მხრივ არაერთარ საშვალებას არ ზოგავენ ოღონდ კი საჩქაროთ იქნეს დაარსებული ხსენებული პუნქტები. უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ერობის წარმომადგენელთა ასეთი მოგზაურობა და ხალხთან საუბარი დიდად ნაყოფიერია. ამით ამომჩვეელი თავის თვითმართველობას მკიდროთ უკავშირდება და თვითმართველობის ავტორიტეტიც იზრდება მის თვალში. ამ მხრივ ჯერჯერობით ქუთაისის სამაზრო ერობის მუშაობა მეტად ნაყოფიერია და იმედია მომავალში უფრო უკეთესი იქნება.

✱ **ადმინისტრაციის მიღება.** ქუთაისის სამაზრო ერობამ უკვე მიიღო მაზრის ადმინისტრაცია.

✱ **მელნის ქარხანა.** ქუთაისის სამაზრო ერობამ გახსნა მელნის ქარხანა.

